ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სალომე ჯიოშვილი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები საქართველოში. არასრულწლოვანთა დანაშაული და არასრული საბაზისო განათლება, როგორც დანაშაულებრივი ქცევის ერთერთი ძირითადი ხელისშემწყობი გარემოება.

სოციალური მუშაობა

სამაგისტო ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ლალი ჩხეტია

სამეცნიერო ხარისხი: მაგისტრი სოციალურ მუშაობაში

წოდება: მაგისტრი

აკადემიური თანამდებობა: მოწვეული ლექტორი

თბილისი

2018

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები საქართველოში. არასრულწლოვანთა დანაშაული და არასრული საბაზისო განათლება, როგორც დანაშაულებრივი ქცევის ერთერთი ძირითადი ხელისშემწყობი გარემოება.

„ცოდნა სინათლეს ჰგავს. ის უწონოა და არამატერიალური. მას თავისუფლად შეუძლია შემოუაროს მსოფლიოს... ღარიბი ქვეყნები და ღარიბი ხალხები მდიდრებისაგან არამხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ მათ ნაკლები სიმდიდრე გააჩნიათ, არამედ იმით, რომ მათ ნაკლები ცოდნა აქვთ“.

(Knowledge for development. World Development Report. Worldbank. Oxford University Press №4, 1999).

ანოტაცია

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის არსი საქართველოში და მისი მიზანი. კვლევის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის და მოზარდებში დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების ანალიზი. მოცემულ ნაშრომში განხილული იქნება როგორც ზოგადად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა, ასევე ის გამოწვევები და სირთულეები, რაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, სოციალური მუშაობის პრაქტიკის განხორციელებისას არსებობს. კველვითი ნაშრომი აერთიანებს ისეთ სოციალურ პრობლემებს როგორებიცაა არასრულწლოვანთა

დანაშაული და ბაზისური განათლების გავლენა პიროვნების დელიქვენტურ ქცევაზე.

ნაშრომი შედგება 3 ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი თეორიული ხასიათისაა, რომელიც ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა. წარმოდგენილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განვითარება საქართველოში საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღემდე. განხილულია სოციალური მუშაკის როლის წარმოშობა სასჯელაღსრულების სისტემაში; მათი მუშაობის სპეციფიკა. ასევე გაანალიზებულია ქართული კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები.

მეორე ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა. გაანალიზებულია ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ნედლი მონაცემები და აღნიშნულ თემატიკაზე საქართველოს რეალობაში წარმოებული კვლევა.

მესამე ნაწილში მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები. ასევე წარმოდგენილია გამოყენებული ლიტერატურა.

კვლევა ეყრდნობა თვისებრივ კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია ექსპერტული გამოკითხვა და დოკუმენტების ანალიზი.

კვლევა აქტუალური იქნება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებითა და არასრულწლოვანთა დანაშაულბრივ ქცევაზე საკითხების შესწავლით.

Juvenile justice issues in Georgia. Juvenile crime and incomplete basic education as one of the major contributors to criminal behavior.

Abstract

The work discusses the essence of the juvenile justice reform in Georgia and its aim. The objective of this research is to analyse the policy of juvenile justice and reasons of juvenile's crime. This paper will consider a juvenile justice system in general, as well as challenges and difficulties in the juvenile justice system while implementing social work practice. The research combines social problems such as juvenile offenses and the impact of basic education on the person's **delinquency of** behaviors.

The work consists of three main parts. The first part is theoretical, containing the review of literature representing the juvenile justice reform in Georgia, and also the history of the development of the juvenile justice reform since Soviet Era till today.

You will find here role of social worker development in the penitentiary system, the specifics of social workers job considering types of sentences, analyzes of Georgian legislation and international standards.

The second part covers practical issues. It contains a soft data from expert interviews and evaluation.

The third part represents conclusion and recommendations, also reference of literature and materials used.

The research is based on qualitative methods, using expert interviews and analysis of documents. It will be useful for the people who are interested in juvenile justice and delinquency issues.

შინაარსი

შესავალი 6

თავი I: დანაშაულის დეფინიცია. სოციალური და ფსიქოლოგიური თეორიების მიმოხილვა

1.1 რა არის დანაშაული 12
1.2 დანაშაულის შემსწავლელი ფსიქოლოგიური თეორიები 13
1.3 დანაშაულის შემსწავლელი სოციოლოგიური თეორიები 14

თავი II: არასრულწლოვანი და არასრულწლოვანთა დანაშაული

2.1 ვინ არის არასრულწლოვანი 19

2.2 არასრულწლოვანი და დანაშაული 22

თავი III: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და სოციალური სამუშაო

3.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია საქართველოში 26

3.2 ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობის როლი 29

თავი IV: განათლება და მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში

4.1 განათლება და დანაშაული 34

4.2 „არასრულწლოვანი პატიმრების საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა“..... 44

4.3 დიაგნოსტიკურ-კრიტეროლოგიური მაჩვენებლების განმსაზღვრელი კითხვარის გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემები 46

4.4 არასრულწლოვან მსჯავრდებულთა აკადემიური პროფილი 46

თავი V: დანაშაულის პრევენცია

5.1 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საერთაშორისო გამოცდილება 50

თავი VI: კვლევის ანალიზი 54

დასკვნა და რეკომენდაციები 62

გამოყენებული ლიტერატურა 67

დანართი 72

შესავალი

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის არსი საქართველოში და მისი მიზანი. აღნიშნული კველვითი ნაშრომი აერთიანებს ისეთ სოციალურ პრობლემებს როგორებიცაა არასრულწლოვანთა დანაშაული და ბაზისური განათლების გავლენა პიროვნების დელიქვენტურ ქცევაზე. კვლევის მიზანს წარმოადგენს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის და მოზარდებში დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების ანალიზი. ბავშვთა არასრული საშუალო განათლების, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორის შესწავლა.

თემის აქტუალურობა: მოზარდებში დამნაშავეობის პრობლემა და არასრული საშუალო განათლება, როგორც ერთერთი მაპროვოცირებელი რისკ გარემოება ბოლო დროს მეტად აქტუალური გახდა. იმ ფაქტმა, რომ მოსწავლეები სასწავლო პროცესის მსვლელობისას იმყოფებიან ქუჩაში, გამოირჩევიან განათლების მიღებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებითა და ხასიათდებიან ანტისოციალური ქცევით პატერნით ბოლო წლებში საქართველოში ყველაზე აქტუალური და მტკივნეული თემაა, რომელიც დაუკავშირდა კრიმინალის ზრდას აღნიშნულ ასაკობრივ ჯგუფში.

ნაშრომი შედგება 3 ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი თეორიული ხასიათისაა, რომელიც ლიტერატურის მიმოხილვას ეთმობა. წარმოდგენილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის განვითარება საქართველოში საბჭოთა კავშირის პერიოდიდან დღემდე.

მეორე ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა. გაანალიზებულია ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად მიღებული ნედლი მონაცემები. მესამე ნაწილში მოცემულია დასკვნა და რეკომენდაციები.

კვლევის განმსაზღვრელ მიმართულებად მიჩნეულია: 1. არასრულწლოვანთა დანაშაულის, ზოგადად დანაშაულის როგორც ასეთი სოციალური მოვლენის განსაზღვრა. მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. 2. არასრულწლოვანთა დანაშაულის ხელის შემწყო ფაქტორებიდან, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზის - არასრული საბაზისო განათლების არ ქონის აქტუალობის გამოვლენა.

კვლევის მიზანი: არასრული საშუალო განათლების, როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის ძირითადი მაპროვოცირებელი გარემოების შესწავლა. იმ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორების გამოკვეთა რაც განაპირობებს მოზარდობის ასაკში დელიქვენტური, კრიმინალური ქცევისადმი მისწრაფებას. მოზარდებში დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების ანალიზი.

კვლევის ამოცანა: თანამედროვე პრევენციული მექანიზმების შემუშავების საშუალებით საზოგადოების ინფორმაციულობის დონის ამაღლება, ოჯახისა და სკოლის, როგორც აღმზრდელობითი ინსტიტუტების როლის გაძლიერება.

სამიზნე ჯგუფი: კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდნენ არასრულწლოვანი პირობით მსჯავრდებულები და მათი მშობლები, ასევე განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდები და მათი მშობლები, სასჯელის დანიშვნის ეტაპზე მყოფი ბრალდებულები და მათი კანონიერი წარმომადგენლები;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ს.ს.ი.პ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოში ჩატარებული ინტერვიუები: საწერი კალამი, რვეული. სფეროს სპეციალისტებთან ჩაწერილი ინტერვიუები: პერსონალური კომპიუტერი, ხმის ჩამწერი.

თვისებრივი კვლევის მეთოლოგია: კვლევა ეყრდნობა თვისებრივ კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუ,

ექსპერტული გამოკითხვა, დოკუმენტების შესწავლა და მეორადი მონაცემების ანალიზი.

თვისებრივი კვლევის მეთოდად შევარჩიე სიღრმისეული ინტერვიუ, როგორც ბენეფიციარებისთვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის, აგრეთვე სფეროს სპეციალისტებისთვის.

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების კანონიერი წარმომადგენლებისათვის შევიმუშავე კითხვარი, რომელიც შედგება 14 (თოთხმეტი) ღია კითხვისგან. (იხ. დანართი N1). სადისკუსიო გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად კითხვებს: როგორია მათი დამოკიდებულება ზოგადად დანაშაულებრივი ქმედების მიმართ, რა მიაჩნიათ დანაშაულის მაპროვოცირებელ გარემოებებად? განათლების როლი პიროვნების სოციალიზაციის პროცესში. ჩატარებული ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა 1 საათს. ინტერვიუს ჩაწერა ხდებოდა წერილობითი ფორმით, თემის სენსიტიურობისა და სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე. ინტერვიუს დაწყებისას რესპოდენტებს განემარტათ კვლევის მიზანი და ამოცანები. აგრეთვე განემარტათ, რომ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით.

უშუალოდ ბენეფიციარებისთვის შემდგარი კითხვარი შედგება 10 (ათი) ღია შეკითხვისგან. (იხ. დანართი N2) აღნიშნული კითხვები მოიცავდა ზოგადად არასრულწლოვნების ყოველდღიური ცხოვრების წესის, დამოკიდებულებებისა და ფასეულობათა სისტემის გამოკვლევას, თუ რა ადგილი უკავია მათ სოციალურ რუკაზე სკოლას. აღნიშნული ინტერვიუების დროს ასევე გამოვიყენე დაუმთავრებელი წინადადებების ტექნიკა. (იხ. დანართი N7)

სფეროს სპეციალისტებისთვის განსაზღვრული კითხვარი განსხვავდება ერთმანეთისგან ქვეჯგუფების მიხედვით. სამთავრობო

სექტორის წარმომადგენლებისთვის განსაზღვრული კითხვარი ძირითადად მოიცავს კითხვებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე ფსიქო-სარეაბილიტაციო მომსახურებების შესახებ, როგორ ხდება სხვადასხვა მომსახურებების არჩევა, არის თუ არა ეს მომსახურებები მტკიცებულებებზე დაფუძნებული, რა სირთულეებს აწყდებიან მუშაობის პერიოდში და რამდენად არის არასრული საბაზისო განათლება, აკადემიური ჩამორჩენა ხელის შემშლელი ეფექტური სარებილიტაციო ინტერვენციის განხორციელების კუთხით. კითხვარი შედგება 10 კითხვისგან (იხ. დანართი N3).

არასამთავრობო სექტორისთვის განსაზღვრული კითხვარი შედგება 10 (ათი) ღია კითხვისგან. (იხ. დანართი N 5) სადისკუსიო გეგმა მოიცავს შემდეგ ძირითად კითხვებს: რა სახის სერვისებს სთავაზობენ კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს, როგორია ყოფილი მსჯავრდებულების მომართვიანობის მაჩვენებელი მათ ორგანიზაციაში, როგორ ხდება ინფორმაციის გავრცელება ორგანიზაციის შესახებ, სარეაბილიტაციო პროგრამების რომელი მოდულები სჭარბობს. ორგანიზაციაში არსებული სერვისები დაფუძნებულია თუ არა კონკრეტულ მტკიცებულებებზე. რამდენად ხშირია მათ არასრულწლოვან კლიენტებში არასრული საბაზისო განათლება და რა სირთულეებს ქმნის რეაბილტაციის პროცესში. როგორია მათი შეფასება/რეკომენდაციები სახელმწიფოს მართლმსაჯულების პოლიტიკის მიმართ.

სფეროს წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს ხანგრძლივობა შეადგენდა 40-45 წუთს.

ინტერვენცია/განხორციელებული აქტივობები: კვლევის ფარგლებში გამოიკითხა კანონთან კონფლიქტში მყოფი 14-18 წლის პირი. ამათგან 10 სისხლისამართლებრივი დევნისგან განრიდებული პირი და მისი ერთერთი მშობელი (ჯამში 20 ადამიანი); 5 პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი და მისი ერთერთი მშობელი (ჯამში 10 ადამიანი); 2

სასჯელის დანიშვნის ეტაპზე მყოფი ბრალდებული პირი და მისი ერთერთი კანონიერი წარმომადგენელი (ჯამში 4 ადამიანი); ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ განხორციელდა აღნიშნულ სეგმენტთან მომუშავე პრობაციის ეროვნული სააგენტოს 6 პრაქტიკოსს სოციალურ მუშაკთან, 2 ფსიქოლოგთან, 2 პრობაციის ოფიცერთან და 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან. ჯამში განხორციელდა 46 სიღრმისეული ინტერვიუ.

სფეროს სპეციალისტების შერჩევის კრიტერიუმები: სამთავრობო სტრუქტურიდან შერჩეული რესპონდენტები არიან ს.ს.ი.პ არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოსა და თბილისის პრობაციის ბიუროს სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები, პრობაციის აღსრულების ოფიცრები და პროფესიული ზედამხედველები. პირები რომლებიც მეზო და მაკრო დონეზე ჩართულნი არიან ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სფეროს დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. ხოლო რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის შერჩეულ რესპონდენტებს, არასამთავრობო სფეროდან სამიზნე ჯგუფად განვსაზღვრე ერთი ორგანიზაცია. კერძოდ: „წამების მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი - GCRT" შერჩევის კრიტერიუმები: მათ აქვთ მდიდარი გამოცდილება კანონთან კონფლიქტში მყოფ დელიქვენტური ქცევის მქონე მოზარდებთან მუშაობის, ასევე რეფერალური პრაქტიკით პრობაციის ეროვნული სააგენტოს სისხლისამართლებრივი დევნისგან განრიდებული ბენეფიციარები, ისევე როგორც არასრულწლოვანი მსჯავრდებულები აქტიურად არიან ჩართული მოცემული ორგანიზაციის სერვისებში.

კვლევის შეზღუდვა: მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას მეთოდოლოგიურ შეზღუდვას, რაც თვისებრივი კვლევის ჩატარებას და ანგარიშის წარდგენას ახლავს. პირველ რიში უნდა აღინიშნოს, რომ მისი რაოდენობრივად დათვლა და პროცენტულ მაჩვენებლად დაყოფა არ ხდება

და ასახვის შემთხვევაშიც, მოცემულ ციფრებს ვერ ექნებოდათ სტატისტიკური სანდოობა, რადგან კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა რაოდენობა, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მიღებული მონაცემები განაზოგადო მთელს პოპულაციაზე.

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია ორიენტირებულია გამოიკვლიოს სამიზნე ჯგუფის და რესპონენტების მოსაზრებები, ასევე შესაძლებელია მოხდეს ამა თუ იმ მოსაზრების დასაბუთება.

ასევე აღსანიშნავია, რომ თავად მკვლევარი ვიყავი მე, რომელიც დასაქმებული ვარ ს.ს.ი.პ პრობაციის ეროვნულ სააგენტოში სოციალური მუშაკის პოზიციაზე. თუმცა ვთვლი, რომ რადგან აღნიშნული კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა მოცემული უწყების მიერ განხორციელებული სარეაბილიტაციო პროგრამების ეფექტურობისა თუ ბენეფიციართა კმაყოფილების ხარისხის შეფასება, შესაბამისად არ დარღვეულა ეთიკის ნორმები.

თავი I: დანაშაულის დეფინიცია. სოციალური და ფსიქოლოგიური თეორიების მიმოხილვა.

1.1 რა არის დანაშაული

ყველაზე ფართო გაგებით დანაშაულად ითვლება ქცევა, რომელიც არღვევს ქცეყანაში არსებულ კანონმდებლობას. კანონი არის ფორმალური სოციალური წესი, რომელსაც ემორჩილება საზოგადეობა. იმის გათვალისწინებით, რომ კანონები ხშირად განიცდიან ცვლილებას, ის რაც დღეს ითვლება დანაშაულად განსხვავდება იმისგან, რაც საუკუნეების წინ მიიჩნეოდა მიუღებელ, არაკონონიერ ქცევად. გარდა ამისა, ტერმინ: „დანაშაულის“ ცნება სიტუაციური და კონტექსტურია. კერძოდ ის რაც დანაშაულად ითვლება ერთ რომელიმე სახელმწიფოში, შეიძლება სხვაგან ანალოგიური ქმედება სულად არ განიხილებოდეს როგორც ანტისოციალური, დევიანტური ქცევა. ამრიგად დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დროის ცვალებადობასთან ერთად იცვლება. სოციალური მეცნიერებების ფუძემდებლების მიერ შემუშავდა არაერთი თეორია, რომლებიც განიხილავდნენ დანაშაულის წარმოშობის მიზეზებს და ცდილობდნენ მიეგნოთიმ საწყისისთვის რომელიც განაპირობებდა კონკრეტულ საზოგადეობასა თუ თემში დანაშაულის მაჩვენებლის ზრდას. აღნიშნულ თეორიებს მიეკუთვნება შემდეგი:

- დემონოლოგია - დანაშაულის გამომწვევ მიზეზად აღიარებული იყო ე.წ. ბოროტი სული. მსგავსი მიდგომა დამახასიათებელი იყო დაბალი განვითარების ქვეყნებში. (Theories of Causation; Second Edition; 2006)
- კლასიკური და ნეოკლასიკური თეორია - კლასიკური თეორიის თანახმად ადამიანი თავად იღებს გადაწყვეტილებას, დაარღვიო თუ არა კანონი. ხოლო ნეოკლასიკური თეორიის მიმდევრები მიიცნევდნენ, რომ არც ბავშვები არც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირებიც კი არ უნდა

თავისუფლდებოდნენ სასჯელისაგან. (Conklin, 1998, p. 41; Moyer, 2001, p.27)

- ფრენოლოგია - კრიმინალურ ქცევას აკავშირებდა ადამიანის თავის ქალის ზომასა და ფორმაზე. ("Phrenology,the history of brain localization", Renato M.E Sabbatini; March 1997).
- მარქსისტულ-ლენინისტური თეორია - ამ თეორიის თანახმად ყველა დანაშაულებრივი ქმედება იყო შედეგი მუშათა ექსპლუატაციისა და მიჩნდათ, რომ დანაშაულთან ბრძოლა დაიძლეოდა თუ აღარ იარსებებდა კლასობრივი დიფერენციაცია; (Counterfactual Theories of Causation; First published Wed Jan 10, 2001; substantive revision Mon Feb 10, 2014)

კრიმინალის მაღალი მაჩვენებლი ნებისმიერი ქვეყნისთვის ერთერთი მძიმე სოციალური პრობლემაა. ამიტომაც წლების განმავლობაში ხდებოდა მისი სოციალურ და ფსიქოლოგიურ ჭრილში განხილვა, რათა დანაშაულისადმი დამოკიდებულება არ ყოფილიყო ცალმხრივი და მიღებული ინფორმაცია ყოფილიყო მაქსიმალურად ამომწურავი და მომცველობითი. იმისთვის, რომ პასუხის გასცემოდა ამ პრობლემატიკის მიმართ წამოჭრილ ყველა დასმულ შეკითხვას შემუშავდა როგორც ფსიქოლოგიური, ისე სოციალური თეორიები, რომლებიც ხსნიდნენ პირის მიერ დანაშაულის მამოტივირებელ გარემოებებს.

1.2 დანაშაულის შემსწავლელი ფსიქოლოგიური თეორიები

ფსიქოანალიზის თეორია - ამ თეორიის მიხედვით ადამიანის ბუნება განსაზღვრულია სოციალურად მისაღები და ამორალური ინსტიქტებით, რაც ზრდის ან პირიქით ამცირებს კრიმინალისეკნ მიდრეკილებას.

აგრესიულობის თეორია - თეორეტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ ფრუსტრაცია, რაიმე პრობლემისა თუ ეტაპის გადაულახველობა,

ინდივიდში ზრდიდა აგრესიის მაჩვენებელს, რაც განაპირობებდა მის კრიმინალად ჩამოყალიბებას.

საკუთარ თავთან საუბრის თეორია - აღნიშნული თეორიის მიმდევრების აზრით, დანაშაული შეიძლება განისაზღვროს იმით, თუ რას ფიქრობდა დამნაშავე დანასაულის ჩადენამდე.

ზოგადად ფსიქოლოგირი თეორიები ცენტრირებულია ადამიანის ქვეცნობიერზე, იმ ქცევით პატერნებზე, რომლებიც შესაძლებელია ამათუიმ ინდივიდმა გაუთვითცნობიერებლად განახორციელოს. ამ მხრივ ძირითადი დატვირთვა ადამიანის ფსიქიკაზე მოდი, თუმცა იმისათვის, რომ დანაშაული განხილულიყო ფართო სპექტრითმეცნიერებმა შეიმუშავეს თეორიები, რომლებშის მოცემულია ის აგრე ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ფსიქიკაზე და შემდეგ ქცევაზე. კერძოდ, მათ განიხილეს სოციუმის ფენომენი.

1.3 დანაშაულის შემსწავლელი სოციოლოგიური თეორიები

დიფერენციული ასოციაციის თეორია (საზერლენდი) - დანაშაული განიხილებოდა, როგორც ცოდნა, რომელსაც ადამიანი პოტენციური დამნაშავე იღებს ისეთი სოციალური ინსტიტუტებიდან, როგორებიცაა : ოჯახი, სამეგობრო, სკოლა და ა.შ.

რობერტ მერტონის აზრით, დევიანტური, დანაშაულებრივი ქცევა წარმოიქმნება მაშინ, როდესაც საზოგადოებაში (კულტურაში) აქცენტირებული მიზნების მიღწევა ხდება სოციალურად დაუშვებელი (არანორმალური, არაინსტიტუციური), თუმცა, შესაძლოა, ტექნიკურად ეფექტური საშუალებების გამოყენებით. დევიაცია სოციალურად კონსტრუირებული მოქმედებაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს ქმედება, რომელიც თავისთავად, სოციალური კონტექსტისაგან განყენებულად, არანორმალურია (ნორმიდან გადახრილია), ანუ დასაგმობია ნებისმიერი საზოგადოების მიერ ნებისმიერ დროს. დევიაციის განხილვა ხდება სხვადასხვა სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ბიოლოგიურ

თეორიათა ჭრილში. დევიაციის ბიოლოგიური თეორია დაკავშირებულია იტალიელი კრიმინოლოგის ჩეზარე ლომბროზოს სახელთან, მან გამოყო ფიზიკური მახასითებლები პოტენციური დევიანტისა და ეს დევიანტი განიხილა როგორც კრიმინალური დამნაშავე.

- გამხდარი
- ფიზიკურად ძლიერი
- სიმსუქნისკენ მიდრეკილი

დევიაციის სოციალური თეორიის ფუძმდებლად ითვლება ემილ დიურკჰაიმი. დურკჰაიმის ანომიის თეორიის თანახმად, სწრაფი სოციალური ცვლილებები განაპირობებს სოციუმში დევიაციის, დანაშაულებრივი ქცევის მაჩვენებელს. სწრაფი სოციალური ცვლილებები, დამანგრეველი მიმდინარეობა აუცილებლად ქმნის სტრესულ სიტუაციებს, იწვევს სოციალიზაციის მოუწესრიგებლობას და მთლიანად ნორმების და ღირებულებების კრიზისს, რომელზეც საზოგადეობის წევრები რეაგირებენ დევიაციით. დიურკჰემის აზრით, დევიაცია, დანაშაულებრივი ქცევების მზარდი დინამიკა ხელს უწყობს საზოგადეობრვი სტაბილურობასა და არსებული ღირებულებათა სისტემის გადაფასება-განმტკიცებას.

რობერტ მერტონმა თავისი თეორიით ანომია ახსნა როგორც ერთგვარი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს საზოგადეობაში საღწევს მიზნებსა და დაშვებულ საშუალებებს შორის. მაგალითად ამერიკულ საზოგადეობაში მატერიალური წარმატება და კარიერა საყოვეთაოდ მიღებული და აღიარებული მიზანია. მოცემული მიზნის მისაღწევად ნებადართული საშაულებებია: სწავლა, მუშაობა და ეკონომია. ხშირად ღარიბი ფენის წარმომადგენლეს არ შეუძლია მიზანს მიაღწიოს და შვებული სასაულებებით, ამიტომ ისინი მიეკუთვნებიან დევიაციის შემცველ რისკ ჯგუფებს.

არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებების განმსაზღვრელი გარემოებების შესასწავლად, ასევე მნიშვნელოვანი სოციალური თეორიაა სტიგმატიზაციის თეორია. აღნიშნული თეორიის შემქნელები არიან ედვინ ლემერტი, ირვინგ გოფმანი და ჰოვარდ ბეკერი. მოცემული სოციოლოგების აზრით დამნაშავეებად კი არ იბადებიან, არამედ კონკრეტული სოციუმი განსაზღვრავს მათი დამნაშავეობის მაჩვენებელს, მაგ. ქურდი ვერ მიხვდება მის სოციალურ სტატუსს, თუ არსებული საზოგადობა არ მიაკრავს მას ქურდის სტიგმას. მკლევართა ნაწილი, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ადამიანის ფსიქოლოგიურ განვითარებას, იყენებენ ფროიდის დევიაციის ფსოქოლოგიური თეორიის მიგნებებს. აღნიშნული თეორიის მიხედვით ინდივიდის ქვეცნობიერი განსზაღვრავს მის დევიანტურ ქცევას, რასაც ფროიდმა უწოდა „დამნაშავე დანაშაულის გრძნობით“. საკუთარ თავთან პირისპირ დარჩენილი დამნაშავე ყოველთვის აცნობიერებს მის დევიანტურ ქცევას და იყალიბებს დამნაშავისთვის დამახასიათებელ აზროვნებას, რომელიც საბოლოოდ ასახვას პოულობს მის ქცევით პატერნში.

დევიაცია როგორც ნორმიდან გადახრილი ქცევა რეგულირდება გარკვეული სახის სანქციებით. ძირითადად ორი სახის სანქცია არსებობს:

- ფორმალური - როცა კანონმდებლობით ხდება დევიანტური ქცვისა აღკვეთა და შესაბამისად დამნაშავის დასჯა;
- არაფორმალური - წარმოადგენს საზოგადოებრივი გაკიცხვის-უარყოფის ფენომენს, როცა დევიანტი ირიყება არსებული სოციუმიდან და ხდება საზოგადოების მარგინალური წევრი (თსუ, თანამედროვე სოციალური თეორიები I);

ზემოთ მოკლედ მიმოვიხილე დანაშაულთან დაკავშირებული მიდგომები, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვქმნოდა ამ პრობლემასთან მიმართებაში, თუ რომელი თეორია რა კუთხით განიხილავს დანაშაულსა და მისი წარმოქმნის მიზეზებს, ვინ განეკუთვნებიან უმეტესად კანონთან

კონფლიქტში მყოფ რისკ ჯგუფებს, თუმცა მოცემულ ნაშრომში ყურადღებას გავამახვილებ არა მხოლოდ ზოგადად დანაშაულსა და დამნაშავეობაზე, არამედ განვიხილავ კონკრეტულ ჯგუფს. კერძოდ არასრულწლოვან დამნაშავეებს, მათთან დაკავშირებულ პრობლემების კორელაციას განათლებასთან. აღნიშნული სამიზნე ჯგუფი წარმოადგენს მეტად დაუცველ სეგმენტს, მათ შორის შედიან 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებსაც არ აქვთ სრულად გაცნობიერებული ჩადენილი ქცევის მართლსაწინააღდეგო ხასიათი. ასევე, განსხვავებულია მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივიაცია და გამომწვევი მიზეზები. ჩემს სამუშაო პრაქტიკასა და განხორციელებული კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოზარდების მხრიდან დევიანტური ქმედებები ხშირად განპირობებულია ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, ასევე დანაშაულებრივ ქმედებას შეიძლება ჰქონდეს მიბაძვითი ხასიათი, რასაც თავის მხრივ სოციალური და ასერტული ქცევის უნარების განვითარების დაბალ დონესთან მივყავართ, ან შეიძლება ვინმე აიძულებთ მათ მოიქცენ კანონის საწინააღმდეგოდ.

ის, რომ გარკვეული კატეგორიის ბავშვები შესაძლებელი იყვნენ ძალადობის მსხვერპლი და მათ დელიქვენტურ ქცევას განსაზღვრავდეს მესამე პირი, აღნიშნული ფაქტი მიუთითებს ასევე მათ დაუცველობასა და უფლებების არ ცოდნაზე. ერთერთ ძირითად პრობლემას შესაძლებელია ითქვას, რომ წარმოადგენს ის გარემოება, რომ არასრულწლოვნები არ არიან უზრუნველყოფილნი ასაკის შესაბამისი განათლებით, არ ირიცხებიან სკოლებში და როგორც ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, მათი მშობლებისთვის რომელთა უმეტესობას აქვს აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებული სირთულეები ნაკლებად პრიორიტეტულია განათლების მიღება. სკოლაში ყოფნის ნაცვლად კი მოზარდები თავისუფალი დროის ორგანიზებას ქუჩის აქტივობებით ანაცვლებენ, რაც თავის მხრივ არის რისკის მატარებელი მათი მხრიდან დანაშაულის ჩადენის კუთხით.

მიუხედავად დანაშაულევბრივი ქცევის არაერთგვაროვანი ხასიათისა, მეცნიერები, კრიმინოლოგები, მკვლევარები და სოციაუმის თითოეული წევრი თანხმდება, რომ დანაშაული ერთერთი მძიმე სოციალური პრობლემაა. ამიტომაც წლების განმავლობაში ხდებოდა მისი სოციალურ და ფსიქოლოგიურ ჭრილში განხილვა, რათა მისადმი დამოკიდებულება არ ყოფილიყო ცალმხრივი და მიღებული ინფორმაცია ყოფილიყო მაქსიმალურად ამომწურავი და მომცველობითი. იმისათვის, რომ პასუხი გასცემოდა ამ საკითხის მიმართ წამოჭრილ ყველა დასმულ შეკითხვას.

თავი II: არასრულწლოვანი და არასრულწლოვანთა დანაშაული

2.1 ვინ არის არასრულწლოვანი

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის განხილვის საწყის ეტაპზე საჭიროა გავიაზროთ ის თუ ვინ ითვლება არასრულწლოვან დამნაშავედ. საქართველოში სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვანდ ითვლება ის ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი წელი (საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 3.1; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი 33).

არასრულწლოანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში არა მარტო 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთათვის, არამედ 21 წლამდე ასაკს მიუღწეველი პირებისთვისაც ვრცელდება არასრულწლოვანთათვის კანონით გათვალისწინებული მიდგომები (საქართველოს 2017 წლის 4 მაისის კანონი N750). ასევე, აღსანიშნავია რომ სხვადასხვა ქვეყნებში არასრულწლოვანთა ასაკი სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 6–18 წლამდე; ავსტრალიაში[1], დიდ ბრიტანეთში 10–18 წლამდე; თურქეთში, ჰოლანდიაში 12-18 წლამდე; გერმანია, იტალიაში, რუსეთში 14–18 წლამდე; დანიაში, ნორვეგიაში 15–18 წლამდე; ბელგიაში, არგენტინაში 16–18 წლამდე. [2]

რაც შეეხება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, ''ეს არის ასაკი, რომლის ქვემოთაც ივარაუდება, რომ ბავშვს არ გააჩნია სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი.

[1] https://aic.gov.au/research/crime-and-justice-statistical-monitoring (12.07.2018)
[2] https://www.crin.org/en/home/ages (12.07.2018)

დაუშვებელია, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწეველ ბავშვს ოფიციალურად წარედგინოს ბრალი დანაშაულის ჩადენაში და დაექვემდებაროს სისხლის სამართლის რაიმე პროცედურებს'' (ჰამილტონი 2011, 26).

საყურადღებოა, რომ ბავშვთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული არც ერთი საერთაშორისო დოკუმენტი არ განსაზღვრავს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს. "პეკინის წესების" მე-4 წესის თანახმად, "იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებშიც მიღებულია არასრულწლოვანთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნება, ქვედა ზღვარი ამ ასაკისა არ უნდა იქნეს დადგენილი ძალზე ადრეულ ასაკში, ემოციური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ასპექტებიდან გამომდინარე" (ზოგადი კომენტარი #10, ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში 2007).

საბჭოთა პერიოდიდან დღემდე, რომ გადავხედოთ როგორ მიმდინარეობდა მართლმსაჯულების სისტემური რეფორმების ცვლილება, ის შემდეგნაირად გამოიყურება: საბჭოთა პერიოდში საქართველოში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 16 წელი იყო. ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე პირები, რომლებსაც დანაშაული ჰქონდათ ჩადენილი, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ მხოლოდ ისეთი მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულების საფუძველზე, როგორებიცაა: მკვლელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, გაუპატიურება, ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვა, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან მოქალაქეთა ქონების განზრახ განადგურება (რასაც მძიმე შედეგი მოჰყვებოდა), ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერებათა გატაცება, სატრანსპორტო საშუალებათა გატაცება, ასევე, ისეთი მოქმედებებისთვის,

რასაც შეიძლება გამოეწვია მატარებლის მარცხი. მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, ზემოთხსენებული სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში იყო 1999 წლამდე. 1999 წლის 15 მაისიდან პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელმოწერით ამოქმედდა ახალი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის თანახმადაც, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად განისაზღვრა 14 წელი. (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1999).

2007 წლის 23 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანას, რომელიც ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულისათვის (განზრახ მკვლელობა; განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში; ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება; გაუპატიურება; ძარცვა; ყაჩაღობა) არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკობრივი ზღვარის 14 დან 12 წლამდე შემცირებას ითვალისწინებდა. აღნიშნული ცვლილებები ძალაში შევიდა 2008 წლის 1 ივლისიდან, რითაც საქართველო საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების წინააღმდეგობაში მოვიდა. 3 წლის შემდეგ, მოხდა განმეორებითი ცვლილების შეტანა სისხლის სამართლის კოდექსში და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკად ყველა დანაშაულისთვის 14 წელი განისაზღვრა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1992, 2010 წლის ცვლილებებით).

ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტის რეკომენდაციით (გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ), ისეთ შემთხვევებში, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელი იქნება არასრულწლოვნის ზუსტი ბიოლოგიური ასაკის განსაზღვრა მისი ფიზიკური, მენტალური თუ ემოციური განვითარების გამო, მაშინ საქმე არასრულწლოვნის სასიკეთოდ უნდა გადაწყდეს. ანუ, უნდა

გასამართლდეს როგორც არასრულწლოვანი. აღნიშნულთან შესაბამისობაში მოდის საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

2.2 არასრულწლოვანი და დანაშაული

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკაში ყურადღება უნდა გამახვილდეს პრევენციულ სტრატეგიაზე, რაც ხელს შეუწყობს ყველა ბავშვის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, განსაკუთრებით ოჯახის, თემის, თანატოლთა ჯგუფების, სკოლების, პროფესიული განათლებისა და სამუშაოს მეშვეობით“ (გაეროს სტრატეგია ბავშვთა მართლმსაჯულების მიმართ – გენერალური მდივნის სახელმძღვანელო პრინციპები).

არაერთი კვლევა, ნაშრომი ამტკიცებს იმ საყოველთაო მოსაზრებას, რომ არასრულწლოვანთა დანაშაული არ არის მხოლოდ ბავშვის პრობლემა. როგორც წესი, ის ოჯახური, თემისა თუ საზოგადოების დისფუნქციის სიმპტომია. იმ მოზარდებზე, რომლებიც არღვევენ სამართლებრივ, კულტურულ, სოციალურ ნორმებს - დაწყებულს მცირე გადაცდენებიდან დამთავრებულს მძიმე დანაშაულით - უწოდებენ დელინქვენტური ქცევის მოზარდებს.[3] დელინქვენტურია ისეთი ქცევები, როგორიცაა: ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება, ქურდობა, ქონების დაზიანება, ძალადობა სხვების და განსაკუთრებით თანატოლთა მიმართ ოპოზიციურ-გამომწვევი ქცევა, სკოლის გაცდენა და ა.შ. დელინქვენტური ქცევის ბავშვებს განათლების სისტემა ძნელად აღსაზრდელებს უწოდებს, ჯანდაცვის სისტემა - ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებს, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება - კანონთან კონფლიქტში მყოფ

[3] http://www.un.org/documents/ga/res/45/a45r112.htm (02.07.2018)

არასრულწლოვანებს. დელინქვენტური ქცევის მიზეზები სამ დონეზე არსებობს: [4]

- ბიოლოგიურ დონეზე: ბავშვის ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, ნევროლოგიური, ჰორმონალური, გენეტიკური და ა.შ.
- ფსიქოლოგიურ დონეზე: ტემპერამენტი, ხასიათი, ინტერესები, მიღწევის მოტივაცია, იმპულსური მოთხოვილებების კონტროლის უნარი, ბრაზის მართვისა და სხვა სოციალური უნარ-ჩვევები;
- სოციალურ დონეზე: ოჯახური აღზრდის სტილი, ორგანიზაციული კულტურა და აღზრდა-განათლების სტილი სკოლაში, თემის სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა და ა.შ.

სამივე დონეზე არსებობს რისკ ფაქტორები, რომლებიც განაპირობებს მოზარდის მხრიდან დანაშაულებრივი ქმედების განხორციელებას და დამცავი ფაქტორები, რომლებიც ერთგვარი პრევენციული ხასიათის მატარებელია და იცავენ არასრულწლოვანს კანონთან კონფლიქტისგან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოჯახის როლი. ოჯახსა და ბავშვზე ზრუნვის ცენტრის (არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისის) მუშაობის 3 წლის სტატისტიკამ ცხადყო, რომ ცენტრში მიმართული დელინქვენტური ქცევის მოზარდების ოჯახების 63%-ში ადგილი ჰქონდა აღზრდის დესტრუქციულ სტილს, 38%-ში - ოჯახურ კონფლიქტებს, 29%-ში - ძალადობას. შესაბამისად, ბავშვების 77%-ი განიცდიდა სოციალური უნარ-ჩვევების დეფიციტს, 30%-ს ჰქონდა ფსიქოტრავმის გამოცდილება, ამ ფონზე 48%-ი აგრესიულად იქცეოდა და 32%-ს ჰქონდა მორალური განსჯის უნარის დეფიციტი.

შეიძლება ითქვას, რომ მოზარდის გამოვლენილი დანაშაულებრივი ქცევა პირდაპირ პროპორციულია იმ მოცემულობისა, რაც აღნიშნულმა კვლევამ ცხადყო. რადგან არაპოზიტიური აღზრდის მეთოდების, უგულებელყოფის ტრამვული გამოცდილება მოზარდს უზღუდავს აითვისოს პროსოციალური

[4] ჯანა ჯავახიშვილი, ანა სუბელიანი, თამაზ ახობაძე, ტრენინგ-სახელმძღვანელო არასრულწლოვანთა განრიდების პრაქტიკაში სოციალური მუშაკებისთვის, პროკურორებისთვის და მედიატორებისთვის; (თბილისი, 2013), 27.

ქცევა, გაიუმჯობესოს სოციალური უნარ-ჩვევები. სხვანაირად ცხოვრება უბრალოდ არ უსწავლებიათ, არ უნახია, არ გამოუცდია, არ იცის, ფლობს მხოლოდ თვით-გადარჩენის ინსტიქტით ნაკარნახევ ქცევით პატერნს, ხშირად აგრესიულს.

სამეცნიერო მტკიცებულების თანახმად, თუ ბავშვი დაექვემდებარა მწვავე ან ქრონიკულ ტრავმატიზაციას, და თუ არ მოხდა მისი საჭიროებების შესაბამისი დახმარებით უზრუნველყოფა და იმგვარი სოციალური გარემოს შექმნა, რომელიც დაიცავს მას და განუმტკიცებს უსაფრთხოების განცდას, ეს ვნებს მის ჰოლისტურ განვითარებას და დელინქვენტური ანუ კანონსაწინააღმდეგო ქცევის მაღალი რისკის წინაშე აყენებს (Lost boys: *Why our sons turn violent and how to save them.* Garbarino, 2000).

გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა დელინქვენტური ქცევის პრევენციის შესახებ მიუთითებს, რომ სოციალური ნორმებიდან გადახვევა უფრო ხშირად არასრულწლოვნის ზრდისა და განვითარების პროცესის ნაწილია. უმრავლეს შემთხვევაში, ეს დროებითი მოვლენაა და ქრება ზრდასრულობის მიღწევისთანავე. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ადრეული პრევენცია, რისკ ჯგუფებთან მუშაობა, სამართალდამრღვევი მოზარდების რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამების დანერგვა ძალზე მნიშვნელოვანია.[5]

მნიშვნელოვანია მართლმსაჯულება იყოს არასრულწლოვნისთვის ლიბერალური და რეაბილიტაციაზე, ძლიერი მხარეების განტკიცებაზე მიმართული და არა მხოლოდ დასჯაზე ორიენტირებული. მკაცრი მართლმსაჯულების პოლიტიკის ნათელი მაგალითია საქართველოს უახლოესი წარსულის ისტორიაში გატარებული ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა. კერძოდ: 2006-2008 წლებში აღინიშნებოდა არასრულწოვან მსჯავრდებულთა რიცხვის მკვეთრი ზრდა (შედარებისთვის 2005 წელს 475 არასრულწლოვანი მსჯავრდებული დაფიქსირდა, 2006 წელს მათი რიცხვი 1002 გაუტოლდა და შემდეგი წლების განმავლობაში აღმასვლას განიცდიდა), რაც მეტნაკლებად ამ

[5] http://unicef.ge/uploads/ISJJ_reprint_2011.pdf
http://www.un.org/documents/ga/res/45/a45r112.htm

პერიოდში გატარებულმა სწორედ ზემოთ აღნიშნულმა „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ გამოიწვია“(www.geostat.ge).

აღსანიშნავია, რომ 2009 წლიდან შეიმჩნევა კლება დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის თვალსაზრისით. კერძოდ 2016 წლის იანვრის თვეში, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (27) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.3%-ს უტოლდება. არასრულწლოვანთა შორის 7 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. არასრულწლოვანი ბრალდებულების რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 25.9%-ს შეადგენს.

2016 წლის იანვარში ბრალდებული არასრულწლოვნებიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 5 პირს, ანუ 29,4 %, პირობითი მსჯავრი 11 პირს, ანუ 67,4, ჯარიმა 1 პირს - 5,9% (სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, იანვარი-2016).

2018 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით საქართველოში ამჟამად არის მხოლოდ 197 მსჯავრდებული არასრულწლოვანი, აღნიშნული საერთო რაოდენობიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 16,7%, პირობითი მსჯავრი შეეფარდა 50,0%-ს, ჯარიმა - 16,7%-ს, შინაპატიმრობა - 16,7%-ს. (სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის იანვარი).

2018 წლის მაისში სულ მსჯავრდებული 27 არასრულწლოვანიდან თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა 4 პირს, ანუ 14,8%, პირობითი მსჯავრი შეეფარდა 17 პირს, ანუ 63,0%-ს, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა - 3 პირს, ანუ 11,1%-ს, შინაპატიმრობა - 3 პირს, ანუ 11,1%-ს (სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის მაისი). აღნიშნული მიუთითებს აღდგენითი მართლმსაჯულების კომპონენტის მნიშვნელობას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში.

თავი III – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და სოციალური სამუშაო

3.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია საქართველოში

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა ზოგადი ტერმინია, რომელიც გულისხმობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ბავშვების მიმართ გამოსაყენებელ პოლიტიკას, სტრატეგიას, კანონმდებლობას, პროცედურებსა და პრაქტიკას“ (ჰამილტონი 2011, 12).

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, "ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელიც იწყებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის დანერგვაზე ან მასში ცვლილებების შეტანაზე მუშაობას, უნდა უზრუნველყოს, რომ შემოთავაზებული პოლიტიკა, კანონმდებლობა და პრაქტიკა შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციას, "სტანდარტებსა და ნორმებს" და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებულ იმ სხვა საერთაშორისო თუ რეგიონულ ინსტრუმენტებს, რომელთა მონაწილეც არის" (ჰამილტონი 2011, 13).

სახელმწიფოები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შექმნისას უნდა ხელმძღვანელობდნენ ისეთი საერთაშორისო დოკუმენტებით, როგორებიცაა, ბავშვის უფლებათა კონვენცია, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი. ამას გარდა, სისტემისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო შემდეგი დოკუმენტები არსებობს: "გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის შესახებ (რიადის პრინციპები); გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ (პეკინის წესები); გაეროს

წესები თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნების დასაცავად (ჰავანის წესები) და სახელმძღვანელო პრინციპი სისხლის სამართლის სისტემაში ბავშვებთან დაკავშირებით მოქმედების შესახებ (ვენის პრინციპები)“. აღნიშნული დოკუმენტები ეხმარება სახელმწიფოებს შეიმუშავონ ბავშვის ჭეშმარიტ უფლებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების სისტემა (ჰამილტონი 2011).

ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია და სხვა საერთაშორისო დოკუმენტები პირდაპირ მითითებებს არ გასცემენ მართლმსაჯულების სისტემის შესაქმნელად, განსავითარებლად. აღნიშნული დოკუმენტები გვთავაზობენ ზოგად რეკომენდაციებს, რომლის მეშვეობითაც სახელმწიფოებმა უნდა შეძლონ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის პრინციპებზე დამყარებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნა. (ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია 1989).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ექსპერტების გადმოცემით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმას საფუძვლად უდევს კანონის ლიბერალიზაცია და აღდგენითი მართლმსაჯულების პრინციპების განვითარება. რეფორმის სტრატეგია მიზნად ისახავს ისეთი სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა დანაშაულის თავიდან აცილებას და ხელს უწყობს სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა სათანადო რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციას.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლამდე საქართველოში არ არსებობდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფდა კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა უფლებების სათანადო დაცვას და უპასუხებდა მათ საჭიროებებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში.

2009 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის უწყებეთაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ მიიღო არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია, რომელიც ყოველწლიურად ექვემდებარებოდა განახლებას მიღწეული შედეგების, არსებული მდგომარეობის, ახალი გამოწვევებისა და სამომავლო გეგმების გათვალისწინებით. 2015 წელს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის უწყებეთაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დაამტკიცა სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის ახალი სტრატეგია (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია, 2011; *დამტკიცებულია საბჭოს რიგით მე-17 სხდომაზე*).

2015 წელს დამტკიცებული სტრატეგია მოიცავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმასაც, რომლის ძირითადი მიზანი არასრულწლოვნის ინტერესებზე, პრევენციაზე, რეაბილიტაციასა და რესოციალიზაციაზე ორიენტირებული საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მყოფი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის შექმნაა. (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია 2015).

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში საქართველოს მთავრობის ძირითადი პრიორიტეტია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია და ინდივიდუალური სარეაბილიტაციო პროგრამების საშუალებით რეციდივის დონის შემცირება. მოცემული რეფორმის ფარგლებში შემუშავდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი (2015 წლის 12 ივნისი).

3.2 ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში სოციალური მუშაობის როლი.

სოციალური მუშაობა მართლმსაჯულების სისტემაში საქართველოს რეალობის მაგალითზე განსაკუთრებით ახალი დარგია. ყველაზე მეტი გამოცდილება ამ კუთხით არსებობს გაერთიანებულ სამეფოში, სადაც ამ სფეროს პრობაციის სახელით იცნობენ და სოციალური სამუშაოს პრაქტიკა კაონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან მიმართულებით უკვე 100 წელზე მეტია რაც არსებობს. ევროპის სხვა ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში სამართალდამრღვევ პირებთან მუშაობის სხვადასხვა სისტემა განვითარდა, რომელთა უმრავლესობა იმავე მოსაზრებებსა და ფილოსოფიას ეფუძნება, რასაც სოციალური მუშაობა.(ბაროუზი, ბერნარდი, ნამიჭეიშვილი, & ქელბაქიანი, 2014, p. 7)

ამერიკაში სოციალურ მუშაკებს ჰქონდათ განსაზღვრული როლი უზრუნველყოთ მომსახურება დატუსაღებულ პირებზე. 1904 წლიდან ანუ პროფესიის დასაბამიდან სოციალური მუშაობა ჩართულია, როგორც მნიშვნელოვანი კომპონენტი ერის კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემაში (Robert & Springer, 2007).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მაგალითზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაძი ძირითად წამყვანი ფუნქცია აკისრია სამ სახელმწიფო ორგანოს. ესენია: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო და პროკურატურა. გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ საქართველოში სოციალური მუშაობა როგორც პროფესია შეიძლება ჩაითვალოს ახალდებად, შესაბამისად აღნიშნულ უწყებებში არათანაბრად არის განაწილებული და გათვალისწინებული სოციალური პრაქტიკის განხორციელება.

2016 წლის იანვარში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღების შედეგად პრობაციის სამსახურს დაევალა მოემზადებინა წინასასმართლო ანგარიში 21 წლამდე პირების შესახებ. აღნიშნული

ანგარიშის მომზადების თავისებურება, სპეციალისტის მიერ შესრულებული მუშაობის სპეციფიკა ეფუძნება, ეხმიანება ევროპის პრობაციის წესების შესახებ მომზადებულ კომენტარს და მუშაობის პროცესში გათვალისინებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით აღიარებულ პროცესუალური უფლებები და გარანტიები, რომელიც ადასტურებს უდანაშაულობის პრეზუმპციას.[6] *(CDPC) 1075-ე შეხვედრა, 2010 წლის 20 იანვარი.)*

ასევე პრობაციის სამსახური პროკურატურასთან და იუსტიციის სამინისტროსთან, კერძოდ კი დანაშაულის პრევენციის ცენტრთან ერთად აქტიურად არის ჩართული აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში. პრობაციის სამსახურის სოციალური მუშაკები ახორციელებენ სისხლისამართლებრივი დევნისგან განსარიდებელი პირების ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებას. აღნიშნულ ანგარიშზე დაყრდნობით ახდენენ სარეკომენდაციო ნაწილის შემუშავებას, რომელიც მიმართულია განსარიდებლის პიროვნული გაძლიერებისა და განმეორებითი დანაშაულის პრევენციისკენ. აღნიშნული ინტერვენციის განხორციელებისას გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია[7] (CM/Rec; 2010). სრულფასოვანი სამუშაო პრაქტიკის განხორციელების მიზნით სოციალური მუშაკი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა სამთავრობო და არასამათვარობო სტრუქტურებთან. აღნიშნული რეფერალური მუშაობა პრობაციის სამსახურის სოციალურ მუშაკებსა თუ სხვა სპეციალისტებს შესაძლებლობას აძლევს უზრუნველყონ ბენეფიციართა იმ ტიპის

[6] კომენტარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე წევრ ქვეყნებს CM/Rec (2010) ევროპის პრობაციის წესების შესახებ. ევროპული კომიტეტი დანაშაულის პრობლემებზე (CDPC) 1075-ე შეხვედრა, 2010 წლის 20 იანვარი.

[7] კომენტარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე წევრ ქვეყნებს CM/Rec (2010)1 ევროპის პრობაციის წესების შესახებ ევროპული კომიტეტი დანაშაულის პრობლემებზე (CDPC) 1075-ე შეხვედრა, 2010 წლის 20 იანვარი. III ნაწილი. ანგარიშვალდებულება და ურთიერთობები სხვა უწყებებთან

საჭიროებების დაკმაყოფილება რომელთა რესურსიც არ აქვს პრობაციას ან არ წარმოადგენს მის პრეროგატივას. მაგ: რეფერი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარების მიზნით, რეფერი სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ბინადრობისა თუ პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგების თვალსაზრისით. ასევე ხდება სპეციალისტის მიერ მონიტორინგის წარმოება და შემთხვევის მართვასთან დაკავშირებული სხვა სახის ანგარიშების წარდგენა შიდა პროფესიულ ზედამხედველთან და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამის სტრუქტურაში (მაგ: პროკურატურა).

პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს ბაზაზე მსჯავრდებულები ერთვებიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო ინდივიდუალურ და ჯგუფურ სესიებში. აღნიშნული სარეაბილტაციო თემატიკის მოდულები არის სამმართველოს ბაზაზე შემუშავებული და მორგებული მსჯავრდებულთა რისკებსა და საჭიროებებს. აღნიშნული ჯგუფური თუ ინდივიდუალურისარეაბილიტაციო ინტერვენციის მიზანს წარმოადგენს ბენეფიციართა პიროვნული გაძლიერება, მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

საყურადღებოა, რომ სამედიცინო საჭიროებისა და ადიქციური ქცევის მქონე პირებისათვის გარდა სარეაბილიტაციო პროგრამებისა, პრობაციის სოციალური მუშაკი იყენებს რეფეარლის ინსტრუმენტს და ხდება ბენეფიციართა გადამისამართება პარტნიორ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში, ანტინარკოტიკულ ცენტრთან, რომელთა დახმარებითაც უზრუნველყოფილია წამალ და ალკო დამოკიდებულ პირთა ჩართვა მათთვის აუცილებელი სერვისებში, რათა შეძლონ დამოუკიდებლად მართონ დამოკიდებულების სინდრომი და გაიხანგრძლივონ რემისიის პერიოდი. ქცევითი სირთულის მართვის

თვალსაზირისთ არასრულწლოვანთა ჩართვა ხდება პროსოციალური ქცევის განმტკიცების სარეაბილიტაციო პროგრამაში დანაშაულის პრევენციის ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სამედიცინო დახმარების ცენტრის (GCRT)-ის ბაზაზე.

რაც შეეხება სასჯელაღსრულების სისტემას, არასრულწლოვანთა დაწესებულებაში სოციალური მუშაკის ძირითადი ფუნქციას მულტიდისციპლინარულს გუნდთან ერთად მსჯავრდებულის საჭიროებებზე მუშაობა და ბიო-ფსიქო-სოციალური პორტრეტის შემუშავება წარმოადგენს. აღნიშნულ შეფასებაზე დაყრდნობით იწერება ინტერვენციის გეგმა და შემდგომში სოციალური მუშაკი ახდენს მიღწეული შედეგებისა თუ გამოვლენილი სირთულეების მონიტორინგს. რაც შეეხება სრულწლოვან პირებთან მუშობას, აღსანიშნავია რომ ამჟამინდელი მონაცემებით არ ხდება მათი ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და ამ ფორმით მათთან სამუშაო პრაქტიკის განხორციელება. თუმცა მცდელობა და მზაობა ამისა არსებობს, რაც გამოიხატება თუნდაც საერთაშორისო ექსპერტების დაინტერესებით აღნიშნული საკითხისადმი. ზოგადად სასჯელაღსრულების დაწესებულების სისტემის ორგანიზაციული კულტურიდან გამომდინარე, რთულდება სოციალური სამსახურის ფუნქციის რეფორმირება. პროცესს ართულებს კვალიფიციურ სოციალურ მუშაკთა კადრების მოზიდვა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.[8]

დღეისათვის სოციალური მუშაკების საქმიანობა პენიტენციურ დაწესებულებებში მხოლოდ ადმინისტრაციული ხასიათისაა, შესაბამისად მას არ აქვს საერთო პროფესიის ღირებულებებთან და ხშირ შემთხვევაში ეწინააღმდეგება პროფესიულ ეთიკის კოდექსს და მასში აღიარებულ პრინციპებს. იმისათვის, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში ეფექტიანი იყოს სოციალური მუშაკის საქმიანობა მნიშვნელოვანია ახალი მიდგომების

[8] „სოციალური მუშაობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში“ 2014, ე. ბერნჰარდტი, ა. ქელბაქიანი, ს. ნამიჭეიშვილი, რ. ბაროუზი, ი. შეყრილაძე, შ. სამაგლიშვილი. გვ.94-95-96.

დანერგვა, მათი დაინტერესება აღნიშნულ სისტემაში მუშაობის დაწყების კუთხით, ეფექტიანობის გაზრდის კუთხით მნიშნველოვანია კონკრეტული საქმის განსაკუთრებული საჭიროების გათვალისწინებით გარე სოციალურ სამსახურთან თანამშრომლობით შეაფასოს მსჯავრდებულის ოჯახი და უზრუნველყოს ისინი შესაბამისი კონსულტაციებით.

გამოკითხულ სოციალურ მუშაკთა აზრით სოციალური მუშაკის როლი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში უნდა შემოიფარგლებოდეს არა მხოლოდ შეფასებითი კომპონენტითა და რეფერის განმხორციელებით, არამედ სოციალური მუშაკები თავად უნდა იყვნენ სერვისების მიმწოდებლები და შემქნელები, რადგან მათ ყველაზე კარგად იციან სამიზნე ჯგუფის ბენეფიციარების საჭიროებები და ასევე მონაწილეობას უნდა იღებდნენ პოლიტიკის შემუშავების სფეროში, რადგან მაქსიმალურად გათვალისწინებული იყოს ყველა სამუშაო ფორმასა თუ დანერგილ მიდგომაში ბენეფიციარის ჭეშმარიტი ინტერესები და სოციალური მუშაობის ეთიკის პრინციპები.

თავი IV - განათლება და მართლმსაჯულების სისტემა საქართველოში

4.1 განათლება და დანაშაული

ჩემი კვლევის მთავარ კითხვას წარმოადგენს თუ რა კაშირია განათლების დაბალ დონესა და კრიმინალს შორის. აღნიშნულის ჰიპოტეზად შესაძლებელია განვიხილოთ შემდეგი გარემოება. კერძოდ, ადამიანი რომელიც ვითარდება ასაკის შესაბამისად პიროვნულად და აკადემიური თავლსაზრისითაც, მიღებული განათლება და გამოცდილება უძლიერებს მას სამოქალაქო პასუხისმგებლობის განცდასა და პროგრესულად აისახება მართლშეგნების მაჩვენებელზე. ჩემს მიერ გამოკვეთილ მოცემულობას ამყარებს ტ. მოზერის კვლევითი ნაშრომი ,,მოზარდთა დანაშაულობა და საზოგადოების სტრუქტურა“-ს შესახებ. ნაშრომის თანახმად „მაღალი მართლშეგნების ადამიანი უარყოფით დამოკიდებულებას იჩენს ამა თუ იმ დანაშაულის მიმართ. თუ მას გამომუშავებული აქვს მზაობა არ ჩაიდინოს ამგვარი მოქმედება, მაშინ დანაშაული წინასწარვე გამორიცხული იქნება მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების სიტუაციიდან და მოტივაციის პროცესში ამგვარი ქცევა ან სულაც არ აისახება, ანდა მოტივაციის პროცესს ამგვარი ქცევა შეაფერხებს. თუ სუბიექტი დაბალი მართლშეგნებისაა, მაშინ მართლშეგნება, როგორც მოტივაციის ფაქტორი, არ გადაეღობება დანაშაულის მოტივის გამომუშავებას და ამგვარი მოტივი წარმოიშობა კიდეც, თუ მოტივაციის პროცესს სამართლებრივი კონტროლი არ შეაფერხებს. მართლშეგნება წმინდა სუბიექტური ფენომენია. იგი არის ადამიანის შინაგანი რწმენა, მისი მზაობა შეასრულოს სამართლებრივი ნორმა, სამართლებრივი კონტროლი კი ზეგავლენას ახდენს სუბიექტზე მოტივაციის პროცესში სასჯელის მუქარით. ამიტომ შეიძლება ადამიანს დაბალი მართლშეგნება ჰქონდეს, მაგრამ მოტივაციის პროცესში სამართლებრივი კონტროლი მოგვევლინოს ფაქტორად, რომელიც დანაშაულებრივი ქცევის მოტივის გამომუშავებას

შეაფერხებს (ალმანახი 2000 №13 სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები; თავი 9; საქართველოში დანაშაულობის პროფილაქტიკისა და არასრულწლოვანთა დანაშაულობის კვლევის კრიმინოლოგიურ-ფსიქოლოგიური ასპექტი).

დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების შესწავლისას ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ მიზეზები და გარემოებები (პირობები ან ფაქტორები). მიზეზი ფართო, კომპლექსური ცნებაა და თავისთავად მოიცავს ერთ ან რამდენიმე გარემოებას. გარემოებები უშუალოდ არ იწვევს დანაშაულს, მათი ურთიერთშერწყმა, გაერთიანება ქმნის კონკრეტული დანაშაულის განწყობას - მიზეზს.

კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში ასხვავებენ ფაქტორთა ორ ძირითად ტიპს - ენდოგენურსა და ეგზოგენურს. პირველი - შინაგანი ფაქტორებია, ხოლო ეგზოგენური გარეგანი. შინაგანი, პიროვნული ფაქტორები საბოლოო ჯამში ობიექტური, გარეგანი ფაქტორების შედეგად წარმოშობილი და პერსონიფიცირებულია. მაგალითად დამნაშავეს, რომელმაც, გარეგანი ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად, რამდენჯერმე ჩაიდინა დანაშაულებრივი ქცევა, შემდგომში, დანაშაულებრივი ქცევის განმეორების გზით, უჩნდება დანაშაულის ჩადენის მოთხოვნილება (ალმანახი 2000; დასკვნა დოც. გ. ნაჭყებიას სადოქტორო დისერტაციაზე ,,სისხლის სამართლის მეცნიერების საგანი”).

არასრულწლოვნის ასაკობრივი თავისებურების შესახებ ადამიანის ონტოგენეტური განვითარების გზაზე განსაკუთრებული თავისებურებით ხასიათდება მოზარდობის ასაკი, რომელსაც ხშირად გარდამავალ ასაკსაც, პუბერტატს უწოდებენ, ვინაიდან ამ დროს ხდება ბავშვობიდან მოწიფულობაში გადასვლა.

გარდამავალი ასაკის პირველი ფაზა მოიცავს პერიოდს ბავშვობასა და ჭაბუკობას შორის, რომელიც იწყება გვიანი ბავშვობის დასასრულიდან 11-12 წლიდან და მთავრდება 15-16 წლის ასაკში (ჭაბუკობის დასაწყისი).

აღნიშნულ პერიოდში ხდება მოზარდის მხოლოდ სქესობრივი მომწიფება, ხოლო ,,ფიზიკური, გონებრივი და სოციალური მომწიფების პროცესები ჭაბუკობის მთელ მანძილზე გრძელდებიან და ძირითადში, ამ ასაკთან ერთად, ნახულობენ თავიანთ დასასრულს“.[1]

ასაკზე საუბრისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მოზარდი, თანატოლებთან შედარებით, უფრო ადრე ასრულებს მომწიფების პროცესს. მომწიფების პროცესი, შინაგან ფაქტორებთან ერთად, დამოკიდებულია გეოგრაფიულ, ეკონომიკურ და სოციალურ პირობებზე. ამიტომ, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მოზარდის ფაქტობრივი მდგომარეობა და არა საპასპორტო ასაკი, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდთა ძირითადი მასის მომწიფება მაინც ზემოაღნიშნულ ასაკში ხდება.

განსახილველი პრობლემისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანთა სოციალური და ინტელექტუალური მომწიფების თავისებურებათა გარკვევას. მართალია, სოციალურ-ინტელექტუალური მომწიფება მოზარდების მეორე ფაზას - ჭაბუკობას, უკავშირდება, მაგრამ ეს პროცესები სათავეს მომწიფების პირველი პერიოდიდან იღებს.

მოზარდობის ასაკში განვითარებას იწყებს ინტელექტუალური პროცესები, რაც აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბებაში გამოიხატება; მოზარდი იწყებს კრიტიკულ აზროვნებას, საგნებსა და მოვლენებს საკუთარი პოზიციებიდან ჭვრეტს: თუკი იგი ავტორიტეტის მოსაზრებებს მანამდე უკრიტიკოდ იღებდა, ახლა საწინააღმდეგო სურათი გვაქვს. მოცემულ ასაკში აზროვნება არ არის ლოგიკური და საბოლოოდ ჩამოყალიბებული, მაგრამ წინარე საფეხურთან შედარებით, გაცილებით მაღალ დონეზე დგას.

ჟან პიაჟეს შრომაში - ,,ბავშვის ზნეობრივი მსჯელობა“, ექსპერიმენტულადაა დასაბუთებული სხვადასხვა ასაკის ბავშვების დამოკიდებულება ზნეობრივი ნორმებისა და აღიარებული, სოციუმშში

დამკვიდრებული, მათ შორის წახალისებული ქცევებისადმი. ავტორი მიუთითებს, რომ ჯგუფურ თამაშში ბავშვები, იმის მიხედვით, თუ რა ასაკისანი არიან, სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ თამაშის წესებისადმი: სამ წლამდე ასაკის ბავშვები საერთოდ ვერ ემორჩილებიან დადგენილ ნორმებს, 3-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვები, თუმცა იწყებენ წინასწარ დაწესებული ნორმების დაცვას, მაინც ძალიან ხშირად გაუცნობიერებლად არღვევენ მათ. 7-12 ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები სათამაშო სიტუაციაში უკვე იცავენ დადგენილ წესებს, მაგრამ არც ამ შემთხვევაში ხდება თამაშის ნორმების სრულყოფილი დაცვა და მხოლოდ 11-12 წლიდან შესწევს მოზარდს უნარი სრულად დაემორჩილოს თამაშის წესებს.

აღიარებულია, რომ თუ მოზარდი დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას, პროტესტსა თუ სხვა პირად მოსაზრებას სოციალურად მისაღები ქცევის მეშვეობით ახორციელებს, იგი უფროსის მხრიდან წახალისებას იმსახურებს. მაგრამ ზოგიერთი მოზარდი, განსაკუთრებით ის, რომელმაც ბავშვობა ცუდად ორგანიზებულ აღმზრდელობით გარემოში (ოჯახი, სკოლა და სხვა) გაატარა, ცდილობს აღმზრდელების მოთხოვნილებისაგან რადიკალურად საწინააღმდეგო პოზიციაზე დადგეს, გამოავლინოს ოპოზიციური ქცევა, რაც შეიძლება ითქვას, რომ ერთერთი ორგანული და დამახასიათებელი გამოვლინებაა პუბერტატის ასაკის ბავშვებისთვის. სწორედ ოპოზიციურ ქცევაში, უმრავლესობისგან „მიუღებლად“ აღიარებულ ქცევაში გრძნობს ის სრულ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას.

ლ. მ. ზუბინი მიუთითებს, რომ ,,ასოციალური ქცევის საწყისი და ძირითადი მიზეზი არასრულწლოვანთა მიკროგარემოში არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებში მდგომარეობს. პირველ ხარისხოვან როლს კი ის სკოლასა და ოჯახს აკისრებს, სადაც ხდება ბავშვის პირველადი ფორმირება.

არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლაში უდიდესი როლი ენიჭება ოჯახს. ოჯახურ გარემოში აღზრდის სწორ ორგანიზაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვანის სოციალიზაციისათვის, მის ობიექტურ ღირებულებათა, მოთხოვნილებათა და მისწრაფებათა ფორმირებისათვის.

მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, ადამიანის სოციალური ფორმირება ძირითადად ხუთ წლამდე ასაკში მთავრდება. აღნიშნულ ასაკამდე მიღებული განცდები და შთაბეჭდილებები განსაზღვრავს ადამიანის მთელი ცხოვრების სტილს. შესაძლოა მოცემული მოსაზღება ხმამაღალი განცხადება იყოს, მაგრამ აღნიშნული დასტურდება განხორციელებული კვლევებითა და მეცნიერების მიერ შემუშავებული ნაშრომებით. ადამიანის ონტოგენეტურ განვითარებაში ეს ასაკი იმდენად რთული და სწრაფად ცვალებადი ფსიქო-ფიზიკური თავისებურებების მატარებელია, რომ მისთვის ანგარიშის გაუწევლობა შეუძლებელია. ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები ძირითადად ოჯახურ გარემოში იზრდებიან. ამ ასაკის ბავშვები უკრიტიკოდ იღებენ ოჯახის წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

ოჯახის თითოეულ წევრს თავისი ფუნქცია აქვს. მოცემული ფუნქციების აღრევა ხშირად ოჯახის წევრთა შორის კონფლიქტის საფუძველი ხდება, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ზნეობრივ განვითარებაზე. არის შემთხვევები, როცა მამის სოციალურ ფუნქციას დედა კისრულობს და დედისას - მამა, ესეც თავისებურად აისახება მოზარდის ფსიქიკაში და უმრავლეს შემთხვევაში უარყოფითი შედეგებით ხასიათდება (ტ. ზომერი, „მოზარდთა დანაშაულობა და საზოგადეობის სტრუქტურა“).

არსებულის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე, დაადგინეს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავეების უმეტეს ნაწილს ჰყავს ზედმეტად მკაცრი დედა და ზედმეტად ლმობიერი მამა. ოჯახის წევრთა ურთიერთობები და საერთოდ, ოჯახში არსებული ვითარება მრავალგანზომილებიანია. ყოველი ადამიანისათვის ოჯახი ის პირველი

საზოგადოებრივი ინსტიტუტია, სადაც ხდება ზნეობრივი კრიტერიუმებისა და მორალის ჩამოყალიბება, გარემოსა და სინამდვილის პირველი გააზრება. ოჯახში მიღებული ცხოვრებისეული გაკვეთილები სამუდამოდ ამახსოვრდება ადამიანს და წარუშლელ კვალს ტოვებს მთელ მის შემდგომ ცხოვრებას.

როგორც კრიმინოლოგიურ ლიტერატურაშია მითითებული, არასრულწლოვანთა დანაშაულობასა და მოზარდთა მშობლების განათლების დაბალ დონეს შორის პირდაპირ პროპორციული დამოკიდებულება არსებობს. კერძოდ, არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მშობლების განათლების დონე შესამჩნევად ჩამორჩება მართლგამგონე მოზარდთა მშობლების დონეს. საქართველოში, სადაც 10 წლის ასაკს ზემოთ ყოველ 1000 სულ მოსახლეზე მოდის უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე 622 კაცი, 8 დამნაშავე მოზარდთა მამების 37%-სა და დედების 48%-ს საშუალო სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული. განათლების დონე დაკავშირებულია შრომის კვალიფიკაციის დონესთან. არასრულწლოვან დამნაშავეთა მამების 36,6%, ხოლო დედების 45% დაკავებული იყო არაკვალიფიციური შრომით. განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე ასეთ ოჯახებში მნიშვნელოვნად განაპირობებს მშობლების არაპედაგოგიურ პოზიციას, აღზრდის არასწორ მეთოდიკას. (ალმანახი; 2000; № 13; სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის პრობლემები)

„ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება“ (ადამიანის უფლებების დაცვის უნივერსალური დეკლარაცია, მუხლი 26).

ბავშვი ოჯახიდან სკოლაში მიდის. ოჯახის შემდგომ სოციალურ ინსტიტუში როგორიცაა სკოლა, მოზარდი ეცნობა კაცობრიობის მიერ მრავალი საუკუნის განმავლობაში დაგროვილ ცოდნას, იძენს მეგობრებს და ა.შ. ამიტომ სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებანი და ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებები ერთად ხელს უწყობს პიროვნების არასწორ განვითარებას.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ მიაღწია მსოფლიო დონის განათლების მაჩვენებლებს დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლების საერთო მონაცემებით. ქვეყნის განვითარების ინდექსი (0.90) შეესაბამება „მაღალი ჰუმანური განვითარების“ მქონე ქვეყნების დონეს. საყოველთაო კვლევები მიგვანიშნებს, რომ არსებობს დაწყებითი და საშუალო განათლების თითქმის საყოველთაო შესაძლებლობა. ამასთანავე მაღალია იმ მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებელი, რომელსაც უმაღლესი განათლება აქვს. „მიუხედავად ამისა, საქართველოს განათლების სისტემას სერიოზული გაუმჯობესება სჭირდება, თუ გვსურს, რომ მომავალშიც შენარჩუნებული იქნეს რეგისტრირებული მოსწავლე ახალგაზრდობის მაღალი მაჩვენებლები. განათლების სისტემაში უზრუნველყოფილი მომსახურების ხარისხის და შესაძლებლობის მოშლა წარმოადგენს მთავარ ბარიერს გრძელვადიანი განვითარების გზაზე“ (ჰუმანური განვითარების ანგარიში. საქართველო 1998. Undp თბილისი).

არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა 57,5%-ს მოსწავლეები შეადგენენ, 20,5%-ს - მუშა-ახალგაზრდები, ხოლო 22,5%-ს ის პირები, რომლებიც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობასთან არ იყვნენ დაკავშირებული. (სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში; 2016; ნოემბერი)

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სკოლაში ცდილობენ, სათანადო საფუძვლის გარეშე თავიდან მოიშორონ მოწაფე, რომელიც არღვევს სასკოლო დისციპლინას, ან კიდევ დაფარონ ცალკეულ მოსწავლეთა მიერ სამართალდარღვევების შემთხვევები. არავისთვის უცხო და გასაკვირი არ არის ის გარემოება და ფაქტები, როდესაც სკოლის პრესტიჟის დასაცავად და საკუთარი შეცდომების დასაფარად სკოლას არავითარი ზომები არ მიუღია სამართალდამრღვევ მოსწავლეთა მიმართ.

სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებებს შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი ფაქტორებიც: იმის გამო, რომ ზოგიერთი პედაგოგი ალმაცერად უყურებს

მოსწავლეთა მხრიდან ყოველგვარი ინიციატივისა და დამოუკიდებლობის გამოჩენას, ეს იწვევს მოზარდთა რეალური მომწიფების დაგვიანებასა და მოვალეობისა და პასუხისმგებლობის განვითარების შეფერხებას, რის გამოც მოზარდს არ შეუძლია რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციაში სწორი გადაწყვეტილების მიღება და დამოუკიდებლად მოქმედება.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ „ძნელად აღსაზრდელ“ არასრულწლოვნებთან სერიოზული და შრომატევადი მუშაობის ჩატარების ნაცვლად, ზოგიერთი სკოლის დირექცია ცდილობს მათ თავიდან მოცილებას და სრულიად არ ინტერესდებიან იმით, თუ რა გზას დაადგება მოზარდი. ჩემს მიერ გამოკითხული მოზარდებიდან ყოველ მეორეს ჰქონდა სწორედ ის პრობლემა, რომ რთული ქცევის გამო, სკოლის პრესტიჟის შენარჩუნების მიზნით ის დაითხოვეს სკოლიდან, მშობლის ინფორმირებულობის გარეშე, რაც გახდა ბიძგი იმისა, რომ აღნიშნულმა არასრულწლოვნებმა თავიანთი ყოველდღიურობა ქუჩის აქტივობებსა და დელიქვენტური ქცევის მქონე დაჯგუფებებს დაუკავშირეს.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადოების შემდეგ მეცნიერები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დანაშაული ჩადენილია ძირითადად არასრულწლოვანთა მიმართ სათანადო ზედამხედველობის არარსებობის გამო. სკოლიდან მოსწავლეთა გარიცხვა, მათი აღზრდისა და ქმედითი დახმარების ნაცვლად, ახალგაზრდობის ნაწილის ქუჩის ზეგავლენის ქვეშ მოქცევას იწვევს. სკოლა და შესაბამისად მასწავლებელი ისევე უნდა იდგას მოზარდის ზნეობრივი აღზრდის სადარაჯოზე, როგორც ოჯახი და მშობლები, მაგრამ ძნელია დღევანდელი სიტუაციის ფონზე, დაბალ ანაზღაურებად მასწავლებელს, გაკვეთილების ჩატარების გარდა, ბავშვის ზნეობრივი აღზრდა და მეთვალყურეობა დაავალო. წლების განმავლობაში ვერც პედაგოგი და ვერც სხვა პროფესიის ადამიანი მხოლოდ ენთუზიაზმზე და მოწოდებაზე ვერ იმუშავებს. პედაგოგები მათთვის

უმართავი სიტუაციებისგან თავის არიდების მიზნით ხშირად მიმართავენ გაფიცვებს, რაც იწვევს სასწავლო პროცესის პარალიზებას.

საყურადღებოა, რომ აღზრდის ნაკლოვანებები დიდ უარყოფით როლს თამაშობს მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაში. ადამიანის პიროვნული ჩამოყალიბება იწყება ოჯახიდან. თუ ოჯახი ამ ფუნქციას სათანადოდ ვერ ასრულებს, აღნიშნული დანაკლისის გამოსწორება უნდა მოხდეს სკოლაში, ხოლო თუ ეს სკოლაშიც ვერ მოხერხდა, ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ფუნქციის შესრულება უხდება უმაღლეს სასწავლებელს, რაც თითქმის შეუძლებელია, გამომდინარე იქედან, რომ ამ ასაკში პიროვნების მენტალიტეტი და ძირითადი ფასეულობები უკვე ჩამოყალიბებულია და აღნიშნული სეგმენტის წარმომადგენელ ბავშვებს აღარ აქვთ მოტივაცია მიიღონ უმაღლესი განათლება. ამათ ასევე არ ჰყავს ავტორიტეტული პირი რომელიც დაანახებს და დაარწმუნებს განათლების მიღების აუცილებლობას.

არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების შესახებ საინტერესო მასალას იძლევა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები. არასრულწლოვან დამნაშავეთა შორის ჭარბობენ უფროსი ასაკის - 16-17 წლის, მოზარდები, მათი რაოდენობა 91%-ს შეადგენს. გარკვეულ წილად ეს იმითაც აიხსნება, რომ საზოგადოებრივად საშიში ქმედების ჩამდენი ზოგიერთი მოზარდი თავისუფლდება სისხლისსამართლის პასუხისმგებლობისაგან 16 წლის ასაკს მიუღწევლობის გამო (ალმანახი 2004 №19 სისხლის სამართალი (III)).

შედარებითმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მდედრობითი სქესის პირთა ხვედრითი წილი გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მამრობითისა და იგი 5%-ს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ მდედრობითი სქესის არასრულწლოვანთა წილი დამოკიდებულია ჩადენილ სამართალდარღვევათა საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე. რაც უფრო დიდია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროება, მით ნაკლებია გოგონების ხვედრითი წილი. არასრულწლოვან

სამართალდამრღვევთა შორის მამრობითი სქესის პირთა დიდი სიჭარბე, როგორც ჩანს, დაკავშირებულია სქესთა ზოგიერთ ფსიქიკურ თავისებურებასთან, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ინტერესებთან, ქცევებთან, გოგონათა და ვაჟთა აღზრდის განსხვავებებთან. აღნიშნული სეგმენტის სამართალდამრღვევთა 57,5%-ს მოსწავლეები შეადგენენ, 20,5%-ს მუშა - ახალგაზრდები, ხოლო 22,5%-ს ის პირები, რომლებიც საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობასთან არ იყვნენ დაკავშირებული. სასკოლო აქტივობებში ჩართულ არასრულწლოვანთა 55%-ს ზოგად საგანმანათლებლო სკოლების მოწაფეები შეადგენენ, 28%-ს - კოლეჯის მოსწავლეები, ხოლო 7%-ს - უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები (ალმანახი 2004 №19 სისხლის სამართალი (III)).

აღსანიშნავია, რომ 2010 წლიდან 2017 წლამდე სისხლისამართლებრივი დევნიდან განრიდებულ იქნა 2733 პირი. ამათგან 2017 წელს განრიდების პროგრამაში ჩართო 910 პირი, ამათგან 475 არასრულწლოვანი. აღსანიშნავია, რომ მოცემული არასრულწლოვანთა ჯგუფიდან 2017 წელს 475 განსარიდებლის საქმე წარმოებაში დაეწერა პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს თბილისის ჯგუფის სოციალურ მუშაკებს (განრიდების პროგრამების 2017 წლის ანგარიში). ჩემს მიერ განხორციელებული ინტრევიუების საფუძველზე, ასევე წარმოებული განრიდების ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ანალიზისას გამოვლინდა, რომ 475 ბავშვიდან სრული 12 კლასის განათლება ჰქონდა მხოლოდ 187 ბავშვს, არასრული 9 კლასის განათლება ჰქონდა 280 ბავშვს, ხოლო დარჩენილი 8 ბავშვიდან 3-ს ქონდა მხოლოდ 2 კლასის განათლება, 5-ს კი 6 კლასის. აღნიშნული მონაცემები თავის მხრივ მანიშნებელია, რომ სასკოლო აქიტოვობებისგან იზოლირება, აკადემიური ჩამორჩენა და სკოლის მინიმალური როლი არასრულწლოვანთა ყოველდღიურობაში, შეისაძლებელია იყოს ერთერთი ძირითადი ხელისშემწყობი, მაპროვოცირებელი გარემოება მათი მხრიდან დანაშაულებრივი ქედების

განხორციელების თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ გაცილებით ცუდი მონაცემებია განათლების დონის თვალსაზრისით პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების სეგმენტის შემთხვევაში. თბილისის პრობაციის ბიუროში აღრიცხვაზე მყოფ არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა 70% აქვს მხოლოდ საბაზისო 9 კლასის არასრული საშუალო განათლება.

ზემოთ განვიხილე სკოლისა და სასწავლო კოლექტივის დიდი როლი ადამიანის პიროვნულ ფორმირებაში, მისი მიდრეკილებებისა და მისწრაფებების, ინტერესებისა და ჩვევების განვითარებაში. ახლა შევეხები განათლების განყოფილებებისა და უშუალოდ, სასწავლო კოლექტივებში წარმოებული აღმზრდელობითი მუშაობის ზოგიერთ ასპექტებსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვანთა განათლების მიღების სპეციფიკას. აღნიშნული თემის გასაანალიზებლად ვეყრდნობი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ „არასრულწლოვანი პატიმრების საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევას“-ს.

4.2 „არასრულწლოვანი პატიმრების საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა“

2008 განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სასჯელაღსრულების დეპარტამენთთან თანამშრომლობით განახორციელა სპეციალურო პროგრამა “სასჯელაღსრულების დეპარტამნეტის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში ზოგადი განათლების უზრუნველყოფა”. პროგრამა მიზნად ისახავდა ძირითადი საგანმანათლებლო პროცესების ხელმისაწვდომობის გაზრდას ავჭალის კოლონიაში მყოფი 200-მდე არასრულწლოვანი მსჯავრდებულისთვის.

არასრულწლოვანი პატიმრებისთვის განათლების ხელსმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად განათლებისა და მეცნიერების

სამინისტრომ შეიტანა ცვლილებები განათლების რეგულაციებში. ცვლილება ექსტერნატის დებულებაში, რომელიც იძლევა საშუალებას: წელიწადში სამჯერ ექსტერნატის გამოცდის ჩატარებისა - განათლებისა და მეცნიერების მინსიტრის 2008 წლის 25 ნოემბრის ბრძანება #1029 ”ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ”; კონკრეტული კლასის და/ან საფეხურის ექსტერნატის გამოცდის ჩატარებისა წინა კლასების და საფეხურების დაძლევის ვალდებულების გარეშე - ”ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დაბულება”; ქულის უვადო შენახვისა - ”ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დაბულება”.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 28 მარტის #127 ბრძანებით, ცვლილება აგრეთვე შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში, რომელიც საშუალებას იძლევა პატიმრის მიყვანისა საგამოცდო ცენტრში და/ან დამატებითი სექტორის გახსნას სასჯელაღსრულების დაწესებულების შიგნით.

არასრულწლოვანი პატიმრების საგანმანათლებლო საჭიროებების კვლევა შეიძლება ითქვას, რომ იყო ერთგვარი მცდელობა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან სრულად მომხდარიყო ”ბავშვის საუკეთესო ინტერესების” გათვალისწინება და მათი უზრუნველყოფა კონვენციით გათვალისწინებული ისეთი ფუნდამენტური უფლების მინიჭებით, როგორიცაა განათლების მიღება.

აღსანიშნავია, რომგანათლების სამინისტროს ზემოთ ხსენებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა რაიოდენობრივი კვლევა და მოცემულ ნაშრომში გაგაცნობთ, კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს. ვინაიდან აღნიშნული მონცემებიდან ნათლად ჩანს ოჯახის წევრთა განათლების დონე რამდენად არის პროპორციული არასრულწლოვანთა

მოტივაციაზე მიიღონ ასაკის შესაბამისი განათლება და აქტიურად ჩაერთონ საგანამანათლებლო პროცესებში.

4.3 დიაგნოსტიკურ-კრიტეროლოგიური მაჩვენებლების განმსაზღვრელი კითხვარის გამოყენების შედეგად მიღებული მონაცემები:

ოჯახის წევრთა განათლება

ოჯახის წევრი	საშუალო არასრული	საშუალო სრული	პროფესიული	უმაღლესი არასრული	უმაღლესი სრული	არ ვიცი
დედა	4,10%	20,60%	4,10%	1,00%	45,40%	24,70%
მამა	2,70%	32,90%	2,70%	1,40%	24,70%	35,60%
და	40,90%	9,10%	4,50%	11,40%	27,30%	6,80%
ძმა	41,50%	35,80%	3,80%	1,90%	5,70%	11,30%
ბებია	5,60%	19,40%			36,10%	38,90%
ბაბუა		23,50%			17,60%	58,80%

4.4 არასრულწლოვან მსჯავრდებულთა აკადემიური პროფილი

არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში მყოფი მოზარდებიდან დაპატიმრებამდე სკოლაში დადიოდა 141 (99,29%) მოზარდი. მათგან :

60 მოზარდი (42,55%) დადიოდა სისტემატიურად

43 მოზარდი (30,50%) ხშირად

16 მოზარდი (11,35%) დროდადრო

22 მოზარდი (15,60%) იშვიათად

რა არ მოსწონდათ მოზარდებს სკოლაში და რატომ?

დასახელება	%
გაკვეთილების სწავლა	48,60%
გაკვეთილებზე ჯდომა	44,10%
გაკვეთილზებზე მონაწილეობის მიღება	28,80%
მასწავლებლები	18,90%
თანაკლასელები	5,40%
ადმინისტრაცია (დირექტორი)	27,00%

მიზეზები:

- სიზარმაცე - მაგ: მეზარებოდა დილით ადრე ადგომა - 34, 8 %
- მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის აგრესიული არაპროფესიული დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ - (მაგ: მკაცრები იყვნენ, ყოველთვის ჭკუას მარიგებდნენ, ასაკოვანები იყვნენ და არ ესმოდათ ჩემი, მლანძღავდნენ, მეუხეშებოდნენ და ა.შ) – 33, 3 %
- სწავლის მიმართ ინტერესის არ ქონა - (მაგ: გულს ვერ ვუდებდი, სულ გართობა მინდოდა)
- უკმაყოფილება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ხანგრძლივობის მიმართ-(მაგ: ძალიან დამღლელი იყო, დრო ნელა გადიოდა, არ იყო კარგი პირობები) – 14,9%

- უინტერესო გაკვეთილი - (მაგ: უინტერესოდ მიჰყავდა გაკვეთილი, არ მომწონდა) – 10, 6%
- შინდაგანი კომპლექსები, ენის ბარიერი - (მაგ. მერიდებოდა, არ ცოდის გამო თავს ვიკავებდი აქტიურობისგან, ვერ ვისვენებდი ერთ ადგილას, ქართული ენა არ ვიცოდი) – 5%
- თანაკლასელების დამოკიდებულება - (მაგ> ჩემს აზრს არ იზიარებდნენ, მეჩხუბებოდნენ, დამცინოდნენ) - 4.3 %

მიღებული ინფორმაციის განხილვისა და განზოგადების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში მყოფი მოზარდები მეტად ორგანიზებულები არიან განათლების მიღების თვალსაზრისით, კერძოდ კვლევის თანახმად მოზარდების 99,29% დადიოდა სკოლაში, მათ შორის 42, 55% სისტემატიურად, დროდა დრო და იშვიათად კი 26,95% ანუ მთელი კონტიგენტი მეთხედზე ცოტა მეტი პასიურად მაინც იყო ჩართული სასკოლო პროცესებში. კვლევაზე დაყრდნობით დღესათვის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს მთელი კონტიგენტის 27, 65 %-ს.

არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სწავლის შეწყვეტის მიზეზები:

სწავლის შეწყვეტის მიზეზები	%
1. სიღარიბე	3,55
2. სწავლის მიმართ ინტერესის არ ქონა	14,18
3. სწავლის სირთულე	3,55
4. ჯანმრთელობის გაუარესება	2,13
5. კონფლიქტები მასწავლებლებთან/ მოსწავლეებთან	4,96
6. დროის უკმარისობა რადგან სპორტით ვიყავი	5,67

დაკავებული	
7. დროის უკმარისობა რადგან სხვა წრეებზე დავდიოდი	1,42
8. თავისუფლების აღკვეთა	56,74

აღსანიშნავია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ კვლევაში მითითებულია, რომ მსჯავრდებულთა 56,74 %-მა სწავლა შეწყვიტა თავისუფების აღკვეთის გამო, თუმცა საყურადღებოა ის ფაქტი, რომ არასრულწლოვნებს დაწესებულების ბაზაზეც აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ასაკისა და განვითარების შესაბამისი განათლება.

V თავი: დანაშაულის პრევენცია

5.1 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საერთაშორისო გამოცდილება

როგორც ავღიშნეთ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად დამტკიცებულ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიაში განხილულია დანაშაულის პრევენციის სამი დონე: პირველადი, მეორე დონის და მესამე დონის. საერთაშორისო გამოცდილებაც დანაშაულის პრევენციის დონეს სამად ყოფს (primary, secondary, tertiary). [9]

გაეროს, **რიადის** სახელმძღვანელო პრინციპები, არასრულწლოვანთა დელიქვენტობის პრევენციის შესახებ, ხაზს უსვამს რომ არასრულწლოვანთა შორის დელიქვენტობის პრევენცია უმნიშვნელოვანესია საზოგადოებაში დანაშაულის შესამცირებლად. პრინციპებში ასევე აღნიშნულია რომ, არასრულწლოვანთა შორის დელიქვენტობის პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია ამ საქმიანობაში საზოგადოების აქტიური ჩართულობა. თუმცა, გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი.

რიადის სახელმძღვანელო პრინციპები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს **ოჯახი**ს როლს არასრულწლოვნების დელიქვენტურობის პრევენციაში და მოუწოდებს მთავრობებს მაქსიმალური ძალისხმევა გაწიონ ბავშვის ოჯახში შენარჩუნებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება, რათა ოჯახი იძულებული არ გახდეს უარი თქვას ბავშვზე. სახელმწიფოებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ლტლოვილ, იძულებით გადაადგილებულ, მიგრანტ ოჯახებს, რათა მათ მაქსიმალურად შეუმსუბუქდეს ადაპტირება ახალ გარემოსთან.

[9] http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/10-52410_Guidelines_eBook.pdf

სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშავონ პროგრამები, რომელიც დაეხმარებიან ოჯახებს გაიგონ რას ნიშნავს ბავშვის სწორად აღზრდა.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც რიადი სახელმძღვანელო პრინციპები აღნიშნავს არის არასრულწლოვნების **განათლება**. სახელმწიფოებმა უფასო საშუალო განათლების ვალდებულება უნდა აიღონ. განათლების სისტემაში ყურადრება უნდა მიექცეს არა მარტო აკადემიურ ატივობებს, არამედ არასრულწლოვნებში ძირითადი ღირებულებების, სოციალური ნორმების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების სწავლებას. მნიშვნელოვანია განათლების სისტემა ზრუნავდეს იმაზე რომ არასრულწლოვანმა სრულად გამოიყენოს თავისი პოტენციალი. ამ ყველაფერში სკოლებმა უნდა დაიხმარონ და ჩართონ მშობლები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

სახელმწიფოს ვალდებულებაა არასრულწლოვნები და მათი მშობლები იცნობდენ კანომნდებლობას, მათ ვალდებულებებს კანონის წინაშე და მათ უფლებებს.

საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციონ სოციალური რისკის მქონე არასრულწლოვნებს, შეიმუშავონ მათთვის სპეციალური პროგრამები. მნიშვნელოვანია ალკოჰოლის და ნარტოკიკული ნივთიერებების მოხმარების პრევენცია. მასწავლებლები და შემჩნეული ბავშვების მშობლები უნდა იყვნენ დატრენინგებულები ამ სახის პრობლემების პრევენციაში.

მესამე მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელსაც რიადი სახელმძღვანელო პრინციპები აღნიშნავს არის არასრულწლოვნების დელიქვენტობის პრევენციაში **საზოგადოების** ჩართულობა. საზოგადოებაში იგულისმხებიან ინდივიდები, საჯარო, კერძო თუ არასამთავრობო–საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებმაც გარკვეული ვალდებულება უნდა აიღონ ჯანსაღი, დანაშაულისგან თავისუფალი, მომავლის მშენებლობაში. აღსანიშნავია რომ, რიადი სახელმძღვანელო პრინციპები უდიდეს

მნიშვნელობას ანიჭებს არასრულწლოვანთა სხვადასხვა სახის მოხალისეობრივი აქტივობების წახალისებას მთავრობებისა და საზოგადოების მხრიდან.

გაეროს რეკომენდაციით მნიშვნელოვანია მთავრობაში მუდმივი, ცენტრალიზებული სტრუქტურა, რომლის პასუხისმგებლობაც იქნება დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის შემუშავება.[10] სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარი გამოცდილება არსებობს. მაგალითად, კანადაში დანაშაულის პრევენციის ეროვნული სტრატეგია 1994 წლიდან არსებობს, რომელსაც ხელმძღვანელობს საზოგადოების უსაფრთხოების სამინისტრო (Ministry of Public Safety). შვედეთში 1974 წლიდან არსებობს დანაშაულის პრევენციის ეროვნული საბჭო. ზოგ ქვეყანაში ადგილობრივ თვითმმართველობებს, შტატებს ან პროვინციას აქვს დაკისრებული დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის ამუშავება. მაგალითად, ავსტრალიაში, გერმანიაში, მექსიკაში და სხვა. საქართველოში, როგორც უკვე ავღნიშნეთ 2012 წლიდან არსებობს არასრულწლოვანთა დანაშაულის სტრატეგია, რომელსაც კურირებს იუსტიციის სამინისტრო.

საერთაშორისო კვლევებში აღნიშნულია, რომ განსაკუთრებული კრეატიულობით არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციას ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნები (ამერიკის შეერთებული შტატები და კანადა) უდგებიან.[11] ამ ფაქტორს ხაზს უსვამენ ევროპელი ავტორებიც ალექს სტივენსი, იზაბელ კესლერი და ბენ გლედსტოუნი თავიანთ ნაშრომში „საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში“, რომელიც მომზადდა სპეციალურად ევროკომისიის დაკვეთით. [12]

---

[10] http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/10-52410_Guidelines_eBook.pdf (02.06.2018)

[11] http://whatworks.uwex.edu/attachment/whatworkswisconsin.pdf (02.06.2018)

[12] http://www.eucpn.org/pubdocs/A%20review%20of%20good%20practice%20in%20preventing%20juvenile%20ccrime%20in%20the%20EU.pdf (02.06.2018)

ავტორები აღნიშნავენ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის საკუთესო და უარეს პრაქტიკებს. საუკეთესო პრაქტიკებში აღნიშნულია სხვადასხვა პროგრამები: [13]

- განვითარებაზე ორიენტირებული დანაშაულის პრევენცია;
- უსაფრთხო სკოლის პროგრამა;
- სკოლის შემდგომი აქტივობები;
- სიტუაციური დანაშაულის პრევენცია;
- თერაპიული ინტერვენცია: მულტისისტემატური თერაპია, ოჯახის ფუნქციური თერაპია, აგრესიის მართვის თერაპია და სხვ.;
- მენტორული პროგრამები;
- მაღალი რისკის მქონე არასრულწლოვნების და გეოგრაფიული ადგილმდებარეობების პოლიციის მიერ კონტროლი;
- აღდგენითი მართლმსაჯულება.

აღსანიშნავია, რომ უარესი პრაქტიკების ჩამონათვალში ვხვდებით არასრულწლოვანთათვის სპეციალურ კონტროლს, მათ დაშინებაზე ორიენტირებულ პროგრამებს, პრობაციას, საპატიმრო სასჯელს.

[13] http://www.eucpn.org/pubdocs/A%20review%20of%20good%20practice%20in%20preventing%20juvenile%20ccrime%20in%20the%20EU.pdf (12.07.2018)

VI თავი: კვლევის ანალიზი

თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგია ორიენტირებულია გამოიკვლიოს სამიზნე ჯგუფის და რესპონენტების მოსაზრებები, ასევე შესაძლებელია მოხდეს ამა თუ იმ მოსაზრების დასაბუთება. სიღრმისეული ინტერვიუ ერთერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა რომელიც საშუალებას იძლევა კვლევის ფარგლებში ამომწურავად გაეცეს პასუხი მნიშვნელოვან კითხვებს.

აღნიშნული კველვა მიმდინარეობდა სამი თვის განმავლობაში, ამაწლის მარტის თვიდან ივნისის თვის ჩათვლით. წინასწარ შემუშავებული ღია კითხვების კითხვარით ჯამში განხორციელდა 46 სიღმრისეული ინტერვიუ, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს სპეციალისტებთან.

განხორციებული ინტერვენცია მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: კვლევის ფარგლებში გამოიკითხა კანონთან კონფლიქტში მყოფი 14-18 წლის პირი. 10 სისხლისამართლებრივი დევნისგან განრიდებული პირი და მისი ერთერთი მშობელი (ჯამში 20 ადამიანი); 5 პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანი და მისი ერთერთი მშობელი (ჯამში 10 ადამიანი); 2 სასჯელის დანიშვნის ეტაპზე მყოფი ბრალდებული პირი და მისი ერთერთი კანონიერი წარმომადგენელი (ჯამში 4 ადამიანი); პრობაციის ეროვნულის სააგენტოს 6 პრაქტიკოსი სოციალური მუშაკი, ამავე უწყების 2 ფსიქოლოგი, 2 პრობაციის არასრულწლოვანთა ჯგუფის აღსრულების ოფიცერი და 2 არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუების დრო, ადგილი და თემატიკა წინასწარ იყო შეთანხმებული თითოეულ რესპოდენტებთან, რამაც გაამარტივა კომუნიკაციის საკითხი და პროცესი მეტად ორგანიზებული გახადა. საკვლევი თემის

სენსიტიურობიდან გამომდინარე კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან განხორციელებული ინტერვიუს დროს ინფორმაციის ჩანიშვნა ხდებოდა წერილობითი ფორმით, ხოლო სფეროს სპეციალისტების შემთხვევაში აუდიო ჩამწერის საშუალებით.

სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზის შემდეგ გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები:

რესპოდენტი 1: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნები (სისხლის სამართებრივი დევნისგან განრიდებული, სასჯელის დანიშვნის ეტაპზე მყოფი, პირობით მსჯავრდებული).

დანაშაულის ხელის შემწყობი მიზეზები

არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობა	53 % - 9 არასრულწლოვანი
სამართლებრივი რისკების არ ცოდნა	23% - 4 არასრულწლოვანი
არა ორგანიზებული თავისუფალი დრო	6% - 1 არასრულწლოვანი
ინტერესე/გართობის სურვილი	18% - 3 არასრულწლოვანი

სკოლის წვლილი მათ ყოველდღიურობაში: 17 არასრულწლოვნიდან მხოლოდ 2 რესპოდენტი იყო, რომელიც აქტიურად იყო ჩართული საგანმანათლებლო აქტივობებში. დანარჩენის არასრულწლოვნების შემთხვევაში 13 ჰქონდა არასრული 9 კლასის განათლება, 2 მათგანს - 6 კლასის განათლება. განათლებისადმი უინტერესობა არასრულწლოვან რესპოდენტთა გადმოცემით, განპირობებული იყო პედაგოგების მხრიდან არასათანადო მოპყრობით, უინტერესო სასწავლო საგნებით.

რესპოდენტი 2: კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მზრუნველი პირები (ჯამში 17 ადამიანი).

არასრულწლოვანთა მშობლების უმრავლესობის მიერ მოწოდებული ინფორმაციით მოზარდთა მიერ დანაშაულებრივი ქცევის განხორციელბაში

ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლას, როგორც სახელმწიფო სტრუქტურას, სადაც ბავშვი ატარებს ყველაზე დიდ დროს. გამოკითხულ მშობელთა სრული უმრავლესობა დადებითად აფასებს ავტორიტარული აღზრდის სტილს და მიიჩნევს, რომ სკოლამ უნდა გაატაროს შიდა დამსჯელობითი ღონისძიებები, რათა მოხდეს ბავშვების მხრიდან დანაშაულის პრევენცია. მოცემულ დამსჯელობით მიდგომებში მშობლებმა გამოყვეს საჯარო გაკიცხვის მეთოდი.

აღსანიშნავია, რომ მშობლებს მას შემდეგ რაც განემარტათ მოცემული მეთოდის ნეგატიური გავლენის შესახებ მოზარდის ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე, მათ არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება და 17 დან 13 მშობელმა აღნიშნა, რომ სირცხვილის გრძნობა არის ყველაზე დიდი გარანტი რაც „აიძულებს“ ბავშვს არ გაიმეოროს „სამარცხვინო ქცევა“.

არასრულწლოვანთა მშობლების უმრავლესობამ სწავლისადმი უინტერესობაში, ასევე გამოკვეთა სკოლის ცვლილება, რაც გახდა ბავშვის მხრიდან განათლებისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების განმტკიცების განმსაზღვრელი ფაქტორი.

საყურადღებოა, რომ სიღრმისეული ინტერვიუების შედეგად ცალსახად გამოვლინდა, რომ მშობლები, რომლების მხრიდანაც არ იყო წახალისებული განათლების მიღება და მხარს უჭერდნენ აღზრდის არაპოზიურ მეთოდებს, მასწავლებლის მხრიდან მოსწავლის მიმართ მკაცრ მიდგომას, აღნიშნულ მშობლებს თავადაც არ ჰქონდათ მიღებული სრული საშუალო განათლება. ასევე არასახარბიელო ეკონომიკური მდგომარეობის აღნიშვნით, მშობელთა სრულ უმრავლესობას ჰქონდა ტენდენცია მინიმიზირება მოაეხდინათ შვილის მიერ განხორციელებული კაონსაწინააღმდეგო ქცევის.

რესპოდენტი 3: სფეროს სპეციალისტები - ინტერვიურების პროცესში სოციალურ მუშაკებმა ზოგადად მიმოიხილეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მიმდინარეობა სისტემურ დონეზე, გატარებული სახელმწიფო პოლიტიკა და აღდგენითი მართლმსაჯულების

წვლილი არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის პროცესში. აღსანიშნავია, რომ პრობაციის სოციალური მუშაკები დღეის მოცემულობით საქართველოში მუშაობენ მესამეული პრევენციის დონეზე, ანუ იმ არასრულწლოვენბთან რომლებსაც უკვე აქვთ კონფლიქტი კანონთან. სამუშაო პრაქტიკის პროცესში მათ გამოყვეს ის ძირითადი მიმართულებები რასაც ახორციელებენ არასრულწლოვენბთან მუშაობის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ პრობაციის ეროვნული სააგენტოს ბაზაზე 2014 წელს შეიქმნა სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველო, რომლის პასუხისმგბელობის სფეროში შედიოდნენ ამაწლის ო1 ივნისამდე სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები. (ამჟამად სოციალური მუსაკები და ფსიქოლოგები ადმინისტრაციულად წარმოადგენს პრობაციის ტერიტორიული ორგანოების კადრს, ამ შემთხვევაში თბილისის პრობაციის ბიუროს). აღნიშნული სამმართველოს ბაზაზე პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერ გამოვლენილი რისკებისა და საჭიროებების შესაბამისად მოხდა სარეაბილიტაციო მოდულების შემუშავება, სიმულაცია და შემდგომ დანერგვა. საყურადღებოა, რომ განხორციელებული სარეაბილიტაციო მუშაობისა თუ შეფასების დოკუმენტების სუპერვიზიას ახორციელებს პროფესიული ზედამხედველი, რათა მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული სამიზნე ჯგუფის საჭიროებები და გამოწვევები.

მიღებული ინფორმაციით პრობაციაში სოციალური მუშაობის პრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით. სპეციალისტების თქმით, არასრულწლოვნების შემთხვევაში ყველაზე ხშირად გამოყენებადი ტრენინგ მოდულები არის შემდეგი: ,,პენიტენციური სტრესის დაძლევა'', ,,კოგნიტური და სოციალური უნარების განვითარება'' ,,კონფლიქტების მართვა და ასერტული ქცევა'', პოზიტიური აზროვნების უნარ-ჩვევების ინტერვენცის პროგრამა'' „ადიქტოლოგია-ჩავარდნის პროფილაქტიკა"; „გემბლინგი - აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულება"; ,,დანაშაულის გაცნობიერება''; „ცხოვრების ჯანსაღი წესი" და „ცხოვრებისეული ფასეულობები"-ს სარებილიტაციო პროგრამები. აღნიშნული პროგრამები

ხორციელდება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად და წარმოადგენს დამხმარე საშუალებას არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის პროცესში.

გამოკითხულ სპეციალისტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაულებრივ ქცევასა და განათლებას შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. სოციალური მუშაკის ნინო ბარნაბიშვილის თქმით: „სკოლის დისფუნქცია, აკავშირებს ბავშვს ქუჩის რეალობასთან და დელიქვენტურობით გამორჩეულ პირებთან“, რაც თავის მხრივ არის უპირობო რისკის მატარებელი გარემოება კანონსაწინაარმდეგო ქცევის განხორციელების თვალსაზრისით. ასევე სოციალური მუშაკების გადმოცემით, აკადემიური ჩამორჩენა აფერხებს არასრულწლოვანთა ჩართულობას სარეაბილიტაციო აქტივობებში. აღნიშნული სირთულის მქონე ბავშვები ვერ ერთვებიან პროცესში, ურთულდებათ სავარჯიშოების შესრულება, მიწოდებული ინფორმაციის აღქმა, რაც თავის მხრივ აისახება მიწოდებული სარეაბილიტაციო სერვისის ეფექტურობის ხარისხზე. საგულისხმოა, რომ სარეაბილიტაციო სერვისის ეფექტრურობა სწორედ, რომ განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მხრიდან დანაშაული გააზრების პოტენციალსა და შემდგომში ქცევის კორექციას. ინტერვიუების პროცესში ასევე გამოკვეთეს, რომ მშობლები რომელთაც არ აქვთ სრული საშუალო განათლება და მათთვის ნაკლებად პრიორიტეტულია პროფესიული წინსვლა არ ახდენენ მოზარდებში სწავლისადმი ინტერესის წახალისებას. ასევე რეაბილიტაციის პროცესში ისინი ვერ ახერხებენ იყვნენ არასრულწლოვანთა მხარდამჭერი რგოლი, რომლებმაც უნდა განუმტკიცონ მოზარდებს პროსოციალური ქცევა. ისინი უმეტეს შემთხვევაში საჭიროებენ მშობელთა უნარების განვითარებისკენ მიმართულ მუშაობას, რომლის მიმართაც ასევე გამოხატავენ უკმაყოფილებას და მიუღებლობას.

პრობაციის არასრულწლოვანთა საქმეების აღსრულების ოფიცრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დღეის მონაცემებით საქართველოში არის 1172 პირობით სმჯავრდებული (14-21 ასაკობრივი ჯგუფი). აღნიშნული

მონაცემების დამუშავების შედეგად გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანთა ჯგუფის (14-21 საკობრივი კატეგორია) სრული რაოდენობის მხოლოდ 3% -არის სტუდენტი; 17%-ს აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება, ამათგან 5% - ირიცხება პროფესიულ კოლეჯში, 14% - არის სკოლის მოსწავლე; ბენეფიციართა 10%-ს- შეჩერებული აქვს მოსწავლის სტატუსი; 40%-ს აქვს არასრული საშუალო განათლება; 8% - 6 კლასის განათლება, დარჩენილი ნაწილი გაურკვეველია, რადგან მოცემულ ბაზაში არ იყო მითითებული მიღებული განათლების საფეხურის შესახებ ინფორმაცია, თავად მსჯავრდებულემა კი არ ისურვა აღნიშნულის დაზუსტება.

აღსანიშნავია, რომ განრიდების ინდივიდუალური შეფასების დოკუმენტების დამუშავებისას (ჯამში 50 ინდივიდუალური შეფასების ანგარიში) გამოვლინდა, რომ განსარიდებელ პირთა სრული უმრავლესობა 44 ბავშვი ჩართული იყო სასწავლო პროცესში, მხოლოდ 2 ბავშვს ჰქონდა შეჩერებული მოსწავლის სტატუსი, ხოლო დარჩენილი 4 ბავშვს ჰქონდა არასრული 9 კლასის განათლება.

რესპოდენტები არასამთავრობო სექტორიდან - წამების მსხვერპლთა ფსიქო სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის (GCRT) სოციალური მუშაკები: ანა ჭიღვარია, შორენა ზედგინიძე.

GCRT ახორციელებს სხვადასხვა ტრენინგ პროგრამას პროფესიონალთა ფართო სპექტრისათვის როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო სექტორში, მათ შორის ექიმებისთვის, მასწავლებლებისთვის, სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, ჟურნალისტებისთვის, იურისტებისთვის, სათემო ლიდერებისთვის, პროკურორებისთვის, ძალოვანი სტრუქტურის სარმომადგენლებისთვის, პრობაციის ოფიცრებისთვის და სასჯელაღრულების სისტემის წარმომადგენლებისთვის. ტრენინგის პროგრამები მიმართულია პროფესიონალთა უნარებისა და ცოდნის გაღრმავებისკენ.

მნიშვნელოვანია აღნიშნოს, რომ მოცემულმა ორგანიზაციამ ჩაატარა კვლევა სახელწოდებით: „არავინ იბადება დამნაშავედ“, სადაც განხილული იყო ჯანსაღი ცხოვრების წესის გავლენა მოზარდთა დანაშაულის პრევენციის მიმართებით. ასევე პროგრამა: „უფროსი მეგობარი“, რომლის ფარგლეშიც ხდებოდა სისხლის სამართებრივი დევნისაგან განრიდებული პირების დამეგობრება მათტვის საინტერესო სფეროს წარმომადგენლებთან. აღნიშნული პროგრამის პრევენციული ხასიათი სწორედ იმაში გამოიხატებოდა, რომ მოზარდებს შესაძლებლობა ეძლეოდათ ჰქონოდათ განსხვავებული დღის რუტინა, სოციალური გარემო და ორგანიზებული თავისუფალი დრო, რომელსაც ის ქუჩაში ატარებდა სკოლის დაკარგული ფუნქციის გამო.

სპეციალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ასევე ორგანიზაციამ 2016 წლის დეკემბრიდან დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “დანაშაულის პრევენციის გაუმჯობესება ანტისოციალური ქცევის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნებისთვის“ გამხორციელება. მოცემული პროექტი გულისხმობს 400 კანონთან კონფლიქტში მყოფი, განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული მოზარდის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის სერვისებით უზრუნველყოფას და მათ ჩართვას სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციულ აქტივობებში. პროექტის ფარგლებში შეიქმნება და დაინერგება 9 ინტერვენციის პროგრამათა პაკეტი, აგრეთვე დაინერგება არასრულწლოვანთა მშობლებისთვის ინტერვენციის პროგრამა; განხორციელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის სფეროს ხარვეზების შესწავლა და რეკომენდაციების შემუშავება. გარდა სარეაბილიტაციო სესიების განხორციელებისა საყურადღებოა, რომ მოცემული პროექტი მიმართულია, განხორციელების პერიოდში ადვოკატირება გაუწიოს მათ მიერ წარმოებული კვლევის შედეგად შემუშავებულ რეკომენდაციებს.

პრობაციის სამსახურები რეფერალური პრაქტიკის საფუძველზე მიმართვს აღნიშნულ ორგანიზაციას და ხდება კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების გადამისამართება სარეაბილიტაციო პროგრამებში. ბოლო 6 თვის განმავლობაში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებთან გამოიყენეს შემდეგი სარეაბილიტაციო მოდულები: არტ-თერაპია, შრომითი თერაპია, კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის მოდელი. მათი ტქმით, განხორციელებული ინტერვენციები მიმართული იყო ძირითადად ორი მიზნისკენ: დანაშაულის გაცნობიერება და ბრაზის მართვა.

რაც შეეხება სპეციალისტების მოსაზრებას განათლებასა და არასრულწლოვანთა დანაშაულთან არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ მათ აღნიშნეს, რომ მოზარდთა აკადემიური ჩამორჩენა, განსაკუთრებით კი წერა-კითხვის სირთულეები აფერხებს ეფექტურ სარეაბილიტაციო მუშაობას. ვინაიდან ისინი ვერ ერთვებიან ჯგუფურ ტრენინგებში და ვერ იღებენ ამომწურავ ინფორმაციას. მსგავს შემთხვევებში ხდება ინდივიდუალური მოდულების შემუშავება, მათ „შესაძლებლობებთან მორგება“, რაც სოციალური მუშაკების თქმით, დამატებით დროს ენერგიას მოითხოვს მათი მხრიდან და სამწუხაროდ არ იძლევა ისეთ თერაპიულ შედეგს როგორიც შესაძლებელია ყოფილიყო ჯგუფში მუსაობა თითოეული ბენეფიციარისთვის. ასევე გამოკვეთეს, რომ არასრული საშაულო განათლება, მეტწილად აკადემიურ განვიტარებასთან დაკავშირებული სირთულეების ზეგავლენას ახდენს ბენეფიციართა, განსაკუთრებით კი მათი მშობლების ღირებულებათა სისტემის ფორმირებაზე. მშობლებთან მუშაობისას რთულია გამიჯვნა დისციპლინისა და აღზრდის ძალადობრივი მეთოდების, ასევე იდენტიფიცირება იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობა, საბაზისო განათლება პიროვნების სოციალიზაციის პროცესში.

დასკვნა/ რეკომენდაცია

ჩემს მიერ განხორციელებულ სიღრმისეულ ინტერვიუებზე, დამუშავებულ დოკუმენტაციაზე, ზემოთ მოცემულ კველევებსა და მეცნიერულ ლიტერატურაზე დაყრდნობით შემიძლია ვთქვა, რომ არასრულწლოვნების ასაკში დანაშაულის ჩადენის ხელიშემწყობ ფაქტორებიდან ერთერთ წამყვან პრობლემას მძიმე სოციალურ ეკონომიკური ფონის გვერდით წარმოადგენს არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა, ეს არის საბაზისო განათლების არ ქონა მოზარდებსა და მათ მშობლებში. განათლებისა და კვალიფიკაციის დაბალი დონე ოჯახებში მნიშვნელოვნად განაპირობებს მშობლების არაპედაგოგიურ პოზიციას, აღზრდის არასწორ მეთოდიკასა და მწირ სოციალურ უნარებს საჭიროების შემთხვევაში კონსტრუქციულად მართონ ყოფითი სირთულეები. ვინაიდან ოჯახი არის ძირითადი ინსტიტუტი სადაც ყალიბდება ბავშვის პიროვნება, ღირებულებათა სისტემა, ის ფაქტი, რომ მშობლებისთვის ნაკლებად პრიორიტეტულია განათლების მიღება ბავშვისთვის ხდება საბაბი იმისა, რომ ნაკლები დრო დაუთმოს პირად პიროვნულ და პროფესიულ ზრდა-განვითარებას. ჩემს მიერ გამოკითხული მშობლებიდან ერთის გარდა ყველა მიიჩნევდა, რომ ბავშვი რომელიც დაიბადა ეკონომიკურად შეჭივრებულ ოჯახში ვალდებულია იზრუნოს მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ასეთ შემთხვევაში კი საკმარისია მხოლოდ 9 კლასის განათლება, რადგან მას შესაძლებლობა არ აქვს ჰქონდეს მეტი ამბიცია განვითარების, არამედ უნდა იმუშაოს ფიზიკურად და გახდეს ოჯახის „შემნახველი“ ძალა.

ყველა ჩემს მიერ გამოკითხული პირობით მსჯავრდებული მის განათლებისადმი უინეტერესობას უკავშირებდა ოჯახში განათლების მიღებისადმი სკეპტიკურ დამოკიდებულებას და იმას, რომ სასკოლო აქტივობებში ჩართულობა არ იყო წახალისებული მზრუნველი პირებისა და მისი სოციუმის წარმომადგენლების მხრიდან. ხოლო ჩადენილი

დანაშაულის მაპროვოცერებლ გარემოებად ასახელებდნენ ინტერესთა სფეროს არ ქონასა და ბევრ არაორგანიზებულ თავისუფალ დროს.

გარდა ოჯახის ფაქტორისა ასევე მნიშვნელოვანია სკოლის როლი ბავშვთა განვითარების პროცესში და პედაგოგთა არაჯანსაღი დამოკიდებულება შედარებით რთული ქცევის მქონე არასრულწლოვნების მიმართ, რომლებიც საფრთხეს უქმნია სკოლის პრესტიჟს.

ვინაიდან მოცემული ნაშრომის საფუძველზე ირკვევა, რომ არსებობს კორელაცია მოზარდის მხრიდან დანაშაულის ჩადენასა და განათლების მიღებას შორის, აღნიშნული პრობლემატიკის დაძლევის მიზნით ვთვლი, რომ მიზანშეწონილი იქნება შემდეგი სახის პრევენცული ღონისძიებების გატარება დანაშაულებრივი ფაქტის დაფიქსირებამდე და მას შემდეგ.

პრევენციული ღონისძიებები მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენამდე

- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტრატეგიაში და განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში მიზანშეწონილია გათვალისწინებული იყოს განათლების ფაქტორი, როგორც დანაშაულებრივი ქცევის ხელშემწყობი გარემოება და სახელმწიფო პლიტიკის დონეზე მოხდეს შესაბამისი პრევენციული და მხარდამჭერი ღონისძიებების ორგანიზება/განხორციელება;
- საწყის ეტაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ინფორმაციულობის დონის ამაღლება, უნდა მოხდეს საინფორმაციო ბუკლეტებითა თუ პრეზენტაციების, ასევე სატელევიზიო რგოლების დახმარებით მშობელთა ინფორმირება ბავშვთა უფელებებისა და მათი როგორც მშობლების ვალდებულებების შესახებ შვილების მიმართ, ფოკუსირება მოხდეს საგანმანათლებლო როლის წარმოჩენაზე ბავშვთა სოციალიზაციის პროცესში;

- სასწავლო დაწესებულებებში არასრულწლოვანთა დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, საჭიროა ყველა სკოლაში დაშვებულ იქნას ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის შტატი, რომლის საქმიანობა განისაზღვრება ძნელად აღსაზრდელ მოზარდებთან მუშაობით. ფსიქოლოგებმა / სოციალურმა მუშაკებმა სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე, სასწავლო დაწესებულებებში სწავლის დაწყების დღიდან (პირველი კლასიდან) უნდა შეადგინონ თითოეული ბავშვის სოციალურ-ფსიქოლოგიური დახასიათება. კერძოდ, რა პიროვნული თავისებურებები ახასიათებს მას, აქვს თუ არა გადატანილი რაიმე ავადმყოფობა, როგორი გონებრივი შესაძლებლობა აქვს ბავშვს, როგორ ოჯახურ გარემოში იზრდება ის და სხვა. ფსიქოლოგი / სოციალური მუშაკი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, მოზარდის სასკოლო ცხოვრების მთელ მანძილზე უნდა ახდენდეს მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ კვლევას და ადგენდეს შესაბამის დოკუმენტაციას.

ამგვარი მუშაობა ეფექტურს გახდის არა მარტო არასრულწლოვანთა დანაშაულთან ბრძოლას, არამედ საშუალებას მოგვცემს ჩავწვდეთ მოზარდის უნარ-შესაძლებლობებს, მის მისწრაფებებს, მოთხოვნილებებსა და განწყობებს. ამგვარი მუშაობა საშუალებას მოგვცემს სასწავლო დაწესებულების დამთავრების შემდეგ პირი იყოს ფუნქციური სამუშაო ბაზრისთვის იმ უბანზე, რა უნარ-შესაძლებლობებიც, სოციალური განწყობებიც, მოთხოვნილებები და იდეოლოგიური მისწრაფებებიც აქვს მას.

- ვინაიდან სკოლა არ არის მხოლოდ ის გარემო სადაც მოსწავლეები იღებენ ასაკის შესაბამის განათლებას, არამედ არის გარემო სადაც ხდება მათი სოციალიზაცია, ინტერპერსონალური ურთიერთობების ფორმირება. თუ სასწავლო პროცესი ისე იქნება ორგანიზებული, რომ მოხდება განათლების მიღების სურვილისა და სოციალიზაციის

მოტივაციის თანხვედრა, მოცემული ასიახება ბავშვის სრუვილზე ცაერთოს სასწავლო პროცესში აქტიურად. აღნიშნულ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ინტერაქტიული ტიპის გაკვეთილების უპირატესობაზე სასწავლო პროცესში, სადაც ყველა ინტელექტუალური უნარისა თუ ცოდნის მქონე მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა გახდეს პროცესების თანამონაწილე, სადაც პედაგოგი კონცენტრირებული იქნება ჩართოს მოსწავლეები დისკუსიაში, მისცეს მათ თავისუფალი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და დაეყრდნოს სწორედ მოსწავლეები შეხედულებებსა და ინეტერსებს. როდესაც ყველაზე პასიური თუ მწირი ცოდნის მატარებელი მოსწავლე დაინახავს რომ ის მოვლენების ეპიცენტრში და თანამონაწილეობა აქტიური საგანმანათლებლო პროცესის მეტი შანსია იმისა, რომ გაიზარდოს მისი როგორც ინტერესი სწავლისა და საგაკვეტილო პროცესების მიმართ ასევე აღნიშნულ პროცესებში ჩართულობის კოეფიციენტიც.

- ასევე რადგან ბავშვის პრობლემა არასდროს არის მხოლოდ მისი და აღნიშნულის მიღმა დგას მეტად კომპლექსური სირთულე, რაც უმეტესად გამომდინარეობს ოჯახიდან, სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დახმარებით უნდა მოხდეს მშობელთა როლისა და ჩართულობის გაზრდა ბავშვების საგანმანათლებლო პროცესებში.

პრევენციული ღონისძიებები მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ

მას შემდეგ რაც მოზარდი მოდის კანონთან კონფლიქტში მნიშვნელოვანია სასჯელარსრულებისა და არასაპატიმრო სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და საერთაშორისო არასამათავრობო სექტორი როლის გააქტიურება არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესში.

ამ კუთხით მნიშვნელოვანია განათლების სფეროში ცვლილებების გატარება:

- ვინაიდან არასრულწლოვან პირობით მსჯავრდებულთა თუ დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვანთა ერთერთ პრობლემას წარმოადგენს დოკუმენტაციის მოწესრიგება, აღნიშნული სეგმენტისთვის უნდა გამარტივდეს დოკუმენტაციის აღების პროცედურები.

- რადგან არასრულწლოვან სამართალდამრღვევებში შეიმჩნევა მნიშვნელოვანი აკადემიური ჩამორჩენილობა, მათთვის უნდა შემუშავდეს სწავლების სპეციალური, ჩვეულებრივი ზოგად საგანმანათლებლო სკოლებისაგან განსხვავებული მეთოდიკა და განსაკუთრებული სასკოლო პროგრამა.
- მოზარდები უნდა დაჯგუფდნენ კლასებში არამარტო ასაკის, არამედ ინდივიდუალური საჭიროებებისა და აკადემიური უნარების მიხედვითაც.
- საამღზრდელო დაწესებულებაში ჩამოყალიბდეს პროფესიული სასწავლებელი, რომელიც უზრუნველყოფს არასრულწლოვნებს შეიძინონ პროფესია და გათავისუფლების შემდეგ მოახდინონს თავიანთი რესურსების რეალიზება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1954 წ., გვ. 51.
2. შ. ჩხარტიშვილი, აღზრდის სოციალური ფსიქოლოგია, გვ. 74-75.
3. შალიკაშვილი, მ. კრიმინოლოგია. თბილისი 2010. გვ. 41–77
4. შალიკაშვილი, მ. კრიმინოლოგია. თბილისი 2010. გვ. 77–108
5. ი. გოძიაშვილი. კრიმინოლოგია. თბ., 1998 წ. გვ. 187
6. თსუ, სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციალოგიის მიმართულება, თანამედროვე სოციალური თეორიები I, პროფ.ი.კაჭკაჭიშვილი,სალექციო მასალები;
7. Theories of Causation; Second Edition; 2006;
8. ნ. როგავა, ფ. გობერია. არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის პედაგოგიურ - ფსიქოლოგიური საკითხები. თბ., 1980, გვ. 18.
9. ჟან პიაჟეს შრომაში - ,,ბავშვის ზნეობრივი მსჯელობა“;
10. ტ. მოზერი, ,,მოზარდთა დანაშაულობა და საზოგადოების სტრუქტურა“
11. ქ. თავართქილაძე, „ მოზარდთა აგრესიული ქცევა“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი - http://phmdf.ge/?page_id=139
12. Личность преступника Н. 1975 г., стр. 133-134.
13. ე.კუსიანი, „არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მიზეზები და პრევენცია“, აგვისტო, 2011წ.
14. მ.შალიკაშვილი; გ.მიქანაძე / 2011 - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისამართლებრივი,პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები;
15. Conklin, 1998, p. 41; Moyer, 2001, p.27

16. Phrenology,the history of brain localization", Renato M.E Sabbatini; March 1997
17. Counterfactual Theories of Causation; First published Wed Jan 10, 2001; substantive revision Mon Feb 10, 2014
18. ჰამილტონი 2011, 26;
19. ი.ჩხეიძე, 2016, კვლევა - Juvenile Justice - Achievements and Challenges;
20. მ. შალიკაშვილი, არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის სისხლის სამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013;
21. ენდრიუ ბერჰარდტი, ანტონ ქელბაქიანი, სალომე ნამიჭეიშვილი, რანდელ ბაროუზი, ია შეყრილაძე, შორენა საძაგლიშვილი. სოციალური მუშაობა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. თბილისი, 2014;
22. ვაიდკუნი. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და ბავშვთა უფლებები.
23. ზეჰრი, ჰოვარდ. აღდგენითი მართმსაჯულების პატარა წიგნი; (სახელმძღვანელო ითარგმნა საქართველოს სამართლებრივი განათლების პროგრამის ფარგლებში) (თბილისი, 2013);
24. ჯანა ჯავახიშვილი, ანა სუბელიანი, თამაზ ახობაძე, ტრენინგ-სახელმძღვანელო არასრულწლოვანთა განრიდების პრაქტიკაში სოციალური მუშაკებისთვის, პროკურორებისთვის და მედიატორებისთვის; (თბილისი, 2013), 27
25. Lost boys: Why our sons turn violent and how to save them. Garbarino, 2000;
26. Enrico Moretti, Report: Does eduqation reduce participation in criminal activities, september 2005;
27. Randi Hjalmsarsson and Lance Loncher, research report: The impact of education on crime:international edvience, 2012;
28. არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები მოზარდის პიროვნება როგორც სუბკულტურული ფასეულობების მატარებელი და

მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპები - ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევითი ნაშრომი, 2004;
29. ჰუმანური განვითარების ანგარიში. საქართველო 1998. Undp თბილისი
30. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, იანვარი-2016;
31. სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიში, 2018;
32. გაეროს სტრატეგია ბავშვთა მართლმსაჯულების მიმართ – გენერალური მდივნის სახელმძღვანელო პრინციპები;
33. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N155, 2007 წლის მარტი.
34. ჰამილტონი, ქეროლინ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები. 2011.
35. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი. თბილისი, 2015.
36. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეფორმის სტრატეგია. თბილისი, 2015
37. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები , 2011;
38. კომენტარი ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე წევრი ქვეყნების მიმართ CM/Rec (2010)1 ევროპის პრობაციის წესების შესახებ ევროპული კომიტეტი დანაშაულის პრობლემებზე (CDPC) 1075-ე შეხვედრა, 2010 წლის 20 იანვარი. III ნაწილი. ანგარიშვალდებულება და ურთიერთობები სხვა უწყებებთან;
39. გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენცია. 1989.
40. გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კონვენციის ზოგადი კომენტარი #10, ბავშვთა უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. 2007.

41. საქართველოს იუსტიციის მინისტრი, შინაგან საქმეთა მინისტრი, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი. ერთობლივი ბრძანება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ. თბილისი, 2016.

42. საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ერთობლივი ბრძანება #132/#95/#23 ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგიის, წესისა და სტანდარტის განსაზღვრის შესახებ. 2016.

43. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 2016 - ევროპული ციხის წესები

44. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება #235 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ. თბილისი, 2012.

45. საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი. 1999.

46. ალმანახი 2004 №19 სისხლის სამართალი (III))

47. www.ganrideba.ge.

48. www.justice.gov.ge.

49. www.moc.gov.ge.

50. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - http://geostat.ge/?action=page&p_id=601&lang=geo

51. http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/10-52410_Guidelines_eBook.pdf

52. http://whatworks.uwex.edu/attachment/whatworkswisconsin.pdf

53. http://www.eucpn.org/pubdocs/A%20review%20of%20good%20practice%20in%20preventing%20juvenile%20ccrime%20in%20the%20EU.pdf
54. http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/10-52410_Guidelines_eBook.pdf
55. https://aic.gov.au/research/crime-and-justice-statistical-monitoring
56. https://www.crin.org/en/home/ages
57. http://www.un.org/documents/ga/res/45/a45r112.htm
http://unicef.ge/uploads/ISJJ_reprint_2011.pdf
58. http://www.unodc.org/documents/justice-and-prison-reform/crimeprevention/10-52410_Guidelines_eBook.pdf

ნაშრომის დანართი

Juvenile justice issues in Georgia. Juvenile crime and incomplete basic education as one of the major contributors to criminal behavior.

Abstract

The work discusses the essence of the juvenile justice reform in Georgia and its aim. The objective of this research is to analyse the policy of juvenile justice and reasons of juvenile's crime. This paper will consider a juvenile justice system in general, as well as challenges and difficulties in the juvenile justice system while implementing social work practice. The research combines social problems such as juvenile offenses and the impact of basic education on the person's **delinquency of** behaviors.

The work consists of three main parts. The first part is theoretical, containing the review of literature representing the juvenile justice reform in Georgia, and also the history of the development of the juvenile justice reform since Soviet Era till today.

You will find here role of social worker development in the penitentiary system, the specifics of social workers job considering types of sentences, analyzes of Georgian legislation and international standards.

The second part covers practical issues. It contains a soft data from expert interviews and evaluation.

The third part represents conclusion and recommendations, also reference of literature and materials used.

The research is based on qualitative methods, using expert interviews and analysis of documents. It will be useful for the people who are interested in juvenile justice and delinquency issues.

დანართი N1: კითხვარი მართლმსაჯულების სისტემაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი პირების კანონიერი წარმომადგენლებისათვის.

მე, სალომე ჯიოშვილი, ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის II კურსზე. მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ვწერ ნაშრომს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები''. კვლევაში მნიშვნელოვანია თქვენი ჩართულობა, მაინტერესებს თქვენი მოსაზრებები, რეკომენდაციები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის/თავიდან აცილების მიმართულებით. დაგისვამთ რამოდენიმე შეკითხვას, რომელსაც ინტერვიუს სახე ექნება. კითხვარი ისახავს მიზნად თქვენგან ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას,ზემოთ ხსენებულ თემასთან დაკავშირებით. ინტერვიუს ჩაწერა მოხდება აუდიო და წერილობითი ფორმით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. ინტერვიუს პროცესი გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი. თქვენ გაქვთ უფლენა ნებისმიერ დროს უარი თქვათ ინტერვიუს გაგრძელებაზე.

1. როგორია თქვენი პირადი დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ? რა არის დანაშაული?
2. გქონიათ თუ არა კანონთან კონფლიქტი?
3. თქვენი აზრით რა შეიძლება უბიძებდეს ბავშვს განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქცევა?

4. გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ რა გავლენას ახდენს ადამიანის პროფესიულ წინსვლასა თუ ზოგადად ცხოვრებაზე ნასამართლეობის სტატუსი?
5. გთხოვთ გაიხსენოთ რა ასაკიდან შეამჩნიეთ თქვენს შვილს ქცევის ცვლილება? რაში ვლინდებოდა?
6. როგორ დაახასიათებდით არასრულწლოვნის ქცევას დანაშაულის ჩადენამდე და მას შემდეგ?
7. რა როლი აქვს მის ყოველდღიურობაში სკოლას/განათლებას?
8. როგორ ფიქრობთ თვითდამკვიდრებისთვის რამდენად მნიშვნელოვანია განათლების მიღება?
9. თქვენი აზრით რა რეაგირება უნდა მოყვეს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ პირველ დანაშაულის სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან?
10. თქვენი აზრით რა არის სასჯელის მიზანი?
11. რა დაეხმარება კანონთან კონფლიქტში მყოფ პირს არ გაიმეოროს დანაშაული?
12. ვინ/რა შეიძლება იყო მოზარდისთვის დამცავი არ ჩაიდინოს დანაშაული?
13. ვინ არის პასუხისმგებელი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო?
14. როგორია თქვენი რეკომენდაციები კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებისათვის/მათი მზრუნველი პირებისათვის/მართლმსაჯულების მარეგულირებელი ორგანოებისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის?

დანართი N2: კითხვარი მართლმსაჯულების სისტემაში, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი პირებისათვის

მე, სალომე ჯიოშვილი, ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის II კურსზე. მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ვწერ ნაშრომს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები''. კვლევაში მნიშვნელოვანია თქვენი ჩართულობა, მაინტერესებს თქვენი მოსაზრებები, რეკომენდაციები არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის/თავიდან აცილების მიმართულებით. დაგისვამთ რამოდენიმე შეკითხვას, რომელსაც ინტერვიუს სახე ექნება. კითხვარი ისახავს მიზნად თქვენგან ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას,ზემოთ ხსენებულ თემასთან დაკავშირებით. ინტერვიუს ჩაწერა მოხდება აუდიო და წერილობითი ფორმით. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. ინტერვიუს პროცესი გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი. თქვენ გაქვთ უფლენა ნებისმიერ დროს უარი თქვათ ინტერვიუს გაგრძელებაზე.

1. გთხოვ მიამბო რამე შენს შესახებ
2. გთხოვ გაიხსენო შენს მიერ პირველად ჩადენილი დანაშაული?
3. როგორია შენი პირადი დამოკიდებულება დანაშაულის მიმართ? რა არის დანაშაული?
4. შენის აზრით რა შეიძლება უბიძებდეს ბავშვს, განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქცევა?
5. გაქვს თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ რა გავლენას ახდენს ადამიანის პროფესიულ წინსვლასა თუ ზოგადად ცხოვრებაზე ნასამართლეობის სტატუსი?

6. რამდენად ხშირად დადიხარ სკოლაში?
7. შენის აზრით რა რეაგირება უნდა მოყვეს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ პირველ დანაშაულს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან?
8. შენი აზრით რა არის სასჯელის მიზანი?
9. ვინ/რა შეიძლება იყოს ბავშვის/არასრულწლოვნისთვის დამცავი ფაქტორი, რომ არ ჩაიდინოს დანაშაული?
10. ვინ არის პასუხისმგებელი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო?

დანართი 3: კითხვარი კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებთან და მათ ოჯახებთან მომუშავე სპეციალისტებისათვის. (სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი; პრობაციის ოფიცერი)

მე, სალომე ჯიოშვილი, ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის II კურსზე. მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ვწერ ნაშრომს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები''. ნაშრომში დიდ ყურადღებას ვუთმობ სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფ პირებისთვის განხორციელებულ ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო მომსახურებებსა და მათ საჭიროებებს, დანაშაულის მაპროვოცირებელ გარემოებებს. კვლევაში მნიშვნელოვანია თქვენი ჩართულობა, რადგან თქვენ ხართ ის რგოლი რომელიც მეზო და მაკრო დონეზე არის ჩართული სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი არასრულწლოვან სისხლის სამართლებრივი დევნისგან განსარიდებელ პირთა და პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვის პროცესში. დაგისვამთ რამოდენიმე შეკითხვას, რომელსაც ინტერვიუს სახე ექნება. კითხვარი ისახავს მიზნად თქვენგან

ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას,ზემოთ ხსენებულ თემასთან დაკავშირებით. მოხდება ინტერვიუს პროცესის ხმის ჩაწერა. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. ინტერვიუს პროცესი გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი.

1. გთხოვთ მესაუბროთ სოციალური მუშაკის როლზე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში..
2. რა სახის პოლიტიკა აქვს არასაპატირო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან პირთა მიმართ?
3. გაქვთ თუ არა სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რა ტიპის დანაშაული ჭარბობს არასრულწლოვნების შემთხვევაში?
4. რა ფაქტორები მიგაჩნიათ დანაშაულის ჩადენის ხელიშემწყობ ფაქტორებად არასრულწლოვნების შემთხვევაში?
5. თქვენი აზრით, დანაშაულებრივი ქცევის წამყვანი ფაქტორები რა კავშირშია განათლებასთან?
6. თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით რამდენად ხშირია არასრულწლოვნებში არასრული საშუალო განათლება? რა მიგაჩნიათ აღნიშნულის განმაპირობებელ მიზეზად?
7. არასრული განათლება რამდენად არის ხელის შემშლელი გარემოება სარეაბილიტაციო მომსახურების მიწოდებისას?
8. რა სახის სირთულეებს აწყდებით არასრულწლოვანთათვის სარეაბილიტაციო პროგრამების მიწოდების დროს?
9. თქვენი აზრით ვინ არის პასუხისმგებელი არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო?
10. როგორია თქვენი რეკომენდაციები კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მზრუნველი პირებისათვის/მართლმსაჯულების

მარეგულირებელი ორგანოებისათვის/საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის?

დანართი 4: კითხვარი რესპონდენტი: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტები: სოფო სანიკიძე, მანანა ლაგაზიძე;

მე, სალომე ჯიოშვილი, ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის II კურსზე. მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ვწერ ნაშრომს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები''. ნაშრომში დიდ ყურადღებას ვუთმობ სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფ პირებისთვის განხორციელებულ ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო მომსახურებებსა და მათ საჭიროებებს, დანაშაულის მაპროვოცირებელ გარემოებებს. კვლევაში მნიშვნელოვანია თქვენი ჩართულობა, რადგან თქვენ ხართ ის რგოლი რომელიც მეზო და მაკრო დონეზე არის ჩართული სასჯელაღსრულების სისტემაში მყოფი არასრულწლოვან სისხლის სამართლებრივი დევნისგან განსარიდებელ პირთა და პირობით მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამების დაგეგმვის პროცესში. დაგისვამთ რამოდენიმე შეკითხვას, რომელსაც ინტერვიუს სახე ექნება. კითხვარი ისახავს მიზნად თქვენგან ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას,ზემოთ ხსენებულ თემასთან დაკავშირებით. მოხდება ინტერვიუს პროცესის ხმის ჩაწერა. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. ინტერვიუს პროცესი გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი.

1. სოციალური მუშაკის როლი ქართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში

2. რა სახის პოლიტიკა აქვს არასაპატირო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან პირთა მიმართ?
3. რა სახის პროგრამები მუშაობს მათთვის?
4. თქვენი აზრით როგორ ხდება ამ პროგრამების აღსრულება?
5. რა სირთულეებს აწყდებით პროგრამების განხორციელების დროს? გაქვთ თუ არა საკმარისი რესურსები და გყავთ თუ არა პროფესიონალი კადრები ?
6. აწარმოებთ თუ არა განხორციელებული სარეაბილიტაციო მომსახურებების ეფექტურობის გაზომვის მიზნით რაიმე კვლევას?
7. თქვენი აზრით რამდენად ეხმარება ეს პროგრამები პირს დანაშაულის გააზრებასა და რეაბილიტაციიის პროცესში?
8. რა კრიტერიუმით იქნა არჩეული არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს სარეაბილიტაციო პროგრამების სამმართველოს მიერ აღნიშნული პროგრამები?
9. პროგრამების განმახორციელებელი პირები რამდენად კომპეტენტურები არიან ? ვინ უწევს მათ პროფესიულ სუპერვიზიას ?
10. იგეგმება თუ არა ახალი პროგრამების დანერგვა/განხორციელება კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რეაბილიტაციის კუთხით?

დანართი N5: კითხვარი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის.

მე, სალომე ჯიოშვილი, ვსწავლობ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სოციალური მუშაობის მაგისტრატურის II

კურსზე. მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ვწერ ნაშრომს „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და არასრულწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზები“. კვლევაში მნიშვნელოვანია თქვენი ჩართულობა, რადგან თქვენ ხართ ის რგოლი რომელიც მომსახურებას აწვდით კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებსა და მათ ძირითად მზრუნველ პირებს. დაგისვამთ რამოდენიმე შეკითხვას, რომელსაც ინტერვიუს სახე ექნება. კითხვარი ისახავს მიზნად თქვენგან ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებას,ზემოთ ხსენებულ თემასთან დაკავშირებით. მოხდება ინტერვიუს პროცესის ხმის ჩაწერა. კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია გამოყენებულ იქნება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით. ინტერვიუს პროცესი გაგრძელდება დაახლოებით 1 საათი.

არასამთავრობო სექტორი: წამების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრი (რესპოდენტები: შორენა ზედგინიძე, ანა ჭიღვარია)

1. რომელ სამიზნე ჯგუფთან მუშაობს თქვენი ორგანიზაცია? როგორია ასაკობრივი ჯგუფი და მათი გეოგრაფიული არეალი?
2. რა სახის სერვისებს სთავაზობთ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვნებსა და მათ ოჯახებს?
3. გაქვთ თუ არა შეხება უშუალოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ არასრულწლოვან პირებთან? რა სახის სერვისებს სთავაზობთ მათ შიგნით სისტემაში?
4. როგორ ხდება ინფორმაციის გავრცელება თქვენი ორგანიზაციის შესახებ სამიზნე ჯგუფებში ? მომართვის რომელი ფორმები უფრო ხშირია თქვენს ორგანიზაციაში? (თვითმომართვა, მომართვა სხვა პირის მიერ, ორგანიზაციის მიერ ქეისების მოძიება)
5. რა სახის პრობლემებს აწყდებით არასრულწლოვან პირებთან მუშაობის დროს?

6. განხორციელებული ჯგუფური/ინდივიდუალური სამუშაოს შედეგად შეგიძლიათ გამოყოთ სამი ძირითადი მიზეზი, რაც შეიძლება გახდეს განმაპირობებელი გარემოება მოზარდის მხრიდან დანაშაულებრივი ქცევის განხორციელების?
7. დანაშაულებრივი ქცევის წამყვანი ფაქტორები რა კავშირშია განათლებასთან?
8. რამდენად ხშირია თქვენს ბენეფიციარებში არასრული საბაზისო განათლება და რა სახის სირთულეებს ქმნის მოცემული გარემოება სარეაბილიტაციო პროცესში?
9. თქვენს ორგანიზაციაში არსებული სერვისები დაფუძნებულია კონკრეტულ მტკიცებულებებზე თუ რა კრიტერიუმებით მოხდა არსებული სერვისების არჩევა?
10. როგორ აფასებთ სახელმწიფო პოლიტიკას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართ?

დანართი N6 - დაუმთავრებელი წინადადებები

სახელი, გვარი:_____

1. **მე ვარ**

   _____

2. **მე მიყვარს ჩემი**

   _____

3. **მე კარგად გამომდის**

   _____

4. **მე ვიღიმი, როცა**

   _____

5. **სკოლაში მე მომწონს/მომწონდა**

   _____

6. **მასწავლებელი რომ ვიყო მე**

   _____

7. ჩემთვის სკოლა არის

_____

8. ჩემში მომწონს ორი რამ

_____

9. მე ყველაზე ძალიან მინდა, რომ

_____

10. როცა პატარა ვიყავი

_____

11. რომ შემეძლოს რაიმეს შეცვლა, მე

_____

12. როცა საკუთარი შვილები მეყოლება, მე

_____